სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 14 ივლისი 2006 №160 (2782) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფამ ცხადაძეს სიცხადე მოსთხოვა

წერილი ბაკის, წერილი სიონს

4

თვესასწაული ყოველდღე

ემზარ ზენაიშვილის აკრედიტებული შთაბეჭდილებები

5



ზიდანის დედა შვილს გამოექომაგა: დავასაჭურისოთ მატერაცი!

6

ქართულ ფეხბურთს სომეხამრიდი გაუფუჭდა

ჰაოსი და ქაოსი



წუხელ იტალიამ გადაწყვიტა: დონი დონადონი იქნება

არტმედიამ ვიტ ჯორჯიას მედიაგოლიც გაუტანა რეიტერი 2:0

ზაზა სახოკიამ (მარჯვნივ) და მისმა „ვიტ ჯორჯიამ" ბრატისლავიდან 0:2, მაგრამ კომპლიმენტებიც გამოიყოლეს

უეფამ ცხადაძეს სიცხადე მოსთხოვა

„სიონი“ — „ბაკის“ მატჩის შესვენებაზე მომხდარი ინციდენტი მეტოქეთა მწვრთნელებს შორის, რა თქმა უნდა, უეფას უყურადღებოდ არ დაუტოვებია და ორივე კლუბს უკვე დაუგზავნა შესაბამისი წერილები, რომლებითაც ამცნობს, რომ კახა ცხადაძე და ბოიუკაგა გაჯიევი უეფას უახლოეს სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე დაისჯებიან.

უეფამ კლუბებს მწვრთნელების გასამართლებლად ბოლო ვადად დღეის 12 საათი დაუთქვა, თუ რამ არგუმენტები გაქვთ, სასწრაფოდ მოგვაწოდეთო.

აზერბაიჯანელთა საპასუხო წერილი ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს, თავისი საქმე თავად იციან, ჩვენ კი ის ვიცით, რომ მწვრთნელებს შორის ინციდენტი სწორედ გაჯიევის მკვახე სიტყვებს მოჰყვა. ბოლნისელებმა კი კახა ცხადაძის დასაცავად უეფას მისწერეს, რომ...

...ბოლნისის „სიონი“ წუხს მომხდარის გამო, ხოლო კახა ცხადაძე ინანებს თავის საქციელს, მან დროულად ვერ მოთოკა ნервები და პირობას იძლევა, რომ მსგავსი მომავალში აღარ განმეორდება. თუმცა აღვნიშნავთ, რომ მატჩის შესვენებისას აზერბაიჯანელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა გაუთავებელ პროვოკაციასა და მუქარას, კერძოდ: „ბაკის“ მწვრთნელი ბოიუკაგა გაჯიევი „სიონს“ მსაჯთა ბრიგადის მოსყიდვაში ადანაშაულებდა, აცხადებდა, რომ ჩვენმა გუნდმა მსაჯებზე კარგად იმუშავა. ის დაგვემუქრა, საპასუხო მატჩისას ბაქოში უარესს დაგმართებთო. ამის შემდეგ კი გაჯიევი და მისი ამალა „სიონის“ მწვრთნელების პირად შეურაცხყოფაზე გადავიდა, რაც კახა ცხადაძემ ვერარ მოითმინა და ბაქოელთა მწვრთნელს შეეპასუხა. მომხდარი დაინახა შეხვედრის მეოთხე მსაჯმა, რომელმაც ეს ამბავი დაუყოვნებლივ არბიტრს აცნობა და მისი რეაქციაც დროული იყო — ორივე მწვრთნელს წითელი ბარათი უჩვენა...

აი, დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი გააგზავნა ბოლნისის „სიონმა“ გუშინ უეფაში. ამ ყველაფრის მიუხედავად, ნაკლებად სავარაუდოა, უეფამ კახა ცხადაძე დაუსჯელი დატოვოს, თუმცა ვფიქრობთ, რომ „სიონის“ მწვრთნელს არც ისე მკაცრ სასჯელს გამოუწერენ.

ქოგა ინასარიძე

ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩამდე „ბაკისთან“ ბოლნისის „სიონს“ აფრიკელ ლეგიონერებთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა. ბოლნისელი კამერუნელების საქართველოს ვიზების ვადა ორ დღეში იწურება და შესაძლოა, ისინი გუნდს ბაქოში ვერ გაჰყვნენ. „სიონმა“ ფეხბურთელებისთვის ვიზების გაგრძელების თხოვნით იუსტიციის სამინისტროს უკვე მიმართა, თუმცა პასუხად მიიღო, რომ შესაბამისი განცხადება კლუბს 40 დღით ადრე უნდა დაეწერა. ბოლნისელები ამ პრობლემის მოსაგვარებლად საქმეში ხელისუფლების სხვა სტრუქტურების ჩართვას აპირებენ და იმედოვნებენ, რომ სამივე აფრიკელს ბაქოში გაიყოლებენ. შეგახსენებთ, ამ ლეგიონერთაგან ერთ-ერთმა, ერიკ ჩასენმა „ბაკის“ პირველი და საკმაოდ ეფექტური გოლი გაუტანა.

ქოგა ინასარიძე

პროვოკატორებს ბაქოში გავუსწორდებით...

ჯეიხუნ სულთანოვი: მსაჯმა წაგვაგებინა!

ვერ გეტყვით, „სიონს“ უყურებენ ალმაცერად თუ „ბაკი“ ჰგონიათ „მილანი“, მაგრამ აზერბაიჯანელები ყველგან ერთსა და იგივეს იმეორებენ — სენსაციურად წავაგეთ ბოლნისელებთანო.

მოულოდნელობა ცალკე და, „ბაკი“ მსაჯობას აბრალებს ამ მარცხს, პირველივე ტაიმში ორი ფეხბურთელის გაძევება რა ამბავიაო. გუნდის კაპიტან ჯეიხუნ სულთანოვის ინტერვიუს კი აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის ვებ-გვერდში წავაწყდით...

— არ ვიცი, რატომ, მაგრამ მსაჯი აშკარად მასპინძელთა სასარგებლოდ უსტვენდა. მარჯვნივ-მარცხნივ არიგებდა ყვითელ-წითელ ბარათებს. რამაზან აბასოვის გაძევების მომენტში ახლოს ვიდექი — აბასოვი მარჯვენა ფეხით წავიდა ბურთისკენ, მეტოქე კი აშკარა შეჯახებაზე მიდიოდა და ჩემი თანაგუნდელი შემთხვევით წამოედო მას. ჩვეულებრივ, ასეთ მომენტში მსაჯები ყვითელ ბარათსაც არ იღებენ, უბრალოდ, ჯარიმა და მორჩა... გერმანელმა არბიტრმა კი პირდაპირ წითელი უჩვენა. ძალიან მწყინს, რომ ასეთი მსაჯები უძღვებიან მატჩს.

— ესე იგი, „ბაკის“ წაგება მსაჯის სინდისზეა?

— რა თქმა უნდა. რაც უნდა კარგი გუნდი იყო, 70 წუთის მანძილზე 9 კაცით თამაში გაგიჭირდება. ათნი მაინც რომ ვყოფილიყავით, უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლებოდა.

— თამაშის შემდეგ რა მოხდა?

— არაფერი განსაკუთრებული. მოვიქეცით სტუმრის შესაფერისად, წყნარად გავედით მინდვრიდან.

— და მასპინძლები?

— იმ ორი გაძევების შემდეგ თამაში ნერვულად წარიმართა. ნამატჩევს კი ქართველებმა პროვოცირება მოუწყვეს ჩვენს ფეხბურთელებს, თავიანთ ენაზე რაღაცას გვეუბნებოდნენ. იმდენად ჭკვიანები მაინც ვართ, რომ მივხვედრილიყავით — გვაგინებდნენ. ჩვენს მწვრთნელ ბოიუკაგა გაჯიევსაც გადასწვდნენ, რაღაც არასასიამოვნო უთხრეს.

— გაჯიევმა რა გითხრათ თამაშის შემდეგ?

— ყველანი საშინელ ხასიათზე ვიყავით. იმედი გვქონდა, რომ მოვიგებდით, მაგრამ არ გამოვიდა. პირადად მე მგონია, რომ „სიონი“ „ბაკისთან“ შესადარი გუნდი არაა.

— იქნებ სათანადოდ ვერ შეაფასეთ „სიონი“?

— ეს გამორიცხულია, ჩვენ ხომ პირველად ვხვდებოდით ამ გუნდს... პირველ წუთებში ჩვენ ოდნავ ვჯობდით „სიონს“, მაგრამ გაძევებებმა საქმე წაგვიხდინა. იმედია, ქართველები ბაქოში დამსახურებისამებრ მიიღებენ...

— არ გაგიკვირდათ, რომ თბილისის სტადიონზე თქვენ მხოლოდ 50-მდე გულშემატკივარი გიჭერდათ მხარს? საქართველოში ხომ ნახევარი მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს...

— მატჩამდე ამბობდნენ, რომ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები მოვიდოდნენ სტადიონზე, მაგრამ მხოლოდ ამბობდნენ და მეტი არაფერი. სიმართლე გითხრათ, მე ეს ძალიან გამიკვირდა.

— და მაინც, რა შანსები დარჩა „ბაკის“ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად?

— გეუბნებით, ქართველებს ბაქოში მოვუგებთ. ანგარიშის თქმა მიძნელდება, მაგრამ მგონია, რომ იოლად გავიმარჯვებთ. უბრალოდ, საწყენია, რომ აბასოვი და გულიევი ვერ დაგვეხმარებიან. გასვლის შანსები? როგორც პირველი მატჩის წინ, ამჯერადაც ორმოცდაათი ორმოცდაათზე მგონია.

უეფას თასი 2006-2007

UEFA CUP

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. მეოთხე ტატგამი

ბრატისლავა. 20 საათი. ტეჯელნე პოლე. 5 000 მაყურებელი

არტმედია 2:0 ვიტ ჯორჯია

1:0 ჰარტიგი (15), 2:0 რეიტერი (54)

არტმედია: კამენარი, ჩისოვსკი, დებნარი, კონეჩნი, ტური, ჰალენარი, კოზაკი, სტრაკა, კუბალა (ბურიანი 74), რეიტერი (სნინსკი 84), ჰარტიგი (ორავეცი 66)	**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჰ. დათუნაიშვილი, გველესიანი, დიმელაშვილი, ფეიქრიშვილი (რაზმაძე 60), ლუჭაშვილი, გელაშვილი (ბეჭვაია 74), გ. დათუნაიშვილი (ბერიაშვილი 70)
მწვრთნელი: იოზეფ ადამეცი	**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

მსაჯი: რობერტ კრაინჩი (სლოვენია)

სააგენტოები რეიტერს იუწყებიან

დავიწყოთ იმით, რომ „ვიტ ჯორჯიას“ ასეთი ახალგაზრდული შემადგენლობით ევროტურნირების არცერთ მატჩში არ უთამაშია. ვიტელები ევროფრონტზე ვერასოდეს მძლავრობდნენ, მაგრამ გუშინ ბრატისლავაში სხვა ვითარება იყო — ჩემპიონთალიგამოვლილ „არტმედიასთან“ 0:2 წააგეს და იღბალი რომ ჰქონოდათ, ერთ გოლს მაინც გამოჰკრავდნენ ხელს.

მე-7 წუთზე ნიკა გელაშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა და აცილა, 70-ე წუთზე კი შეცვლაზე შესულმა გიორგი ბერიაშვილმა ბურთი ძელს გაარტყა. მთლიანობაში კი პირველი ტაიმიც და მეორე ნახევრის დასაწყისიც მასპინძლებისა იყო, ოღონდ ვიტელებისთვის შტურმი არ მოუწყვიათ. მე-15 წუთზე ლუკაშ ჰარტიგმა თავისიანთა სწრაფი კომბინაცია დაასრულა გოლით — 1:0.

მეორე ნახევრის საწყის წუთებში კი „ვიტ ჯორჯიამ“ მეორე გოლი მიიღო — ამჯერად ტომაშ რეიტერისგან. ამის შემდეგ უფრო ცოცხალი თამაში გაჩაღდა. გუნდები შეტევებს ცვლიდნენ და სამწუხაროა, რომ ბურთმა „არტმედიას“ კარი ვერ მონახა.

ნამატჩევს სლოვაკთა თავკაცმა იოზეფ ადამეცმა ვიტელები შეაქო, ქართველთა ტექნიკურობაზე ადრეც ვიცოდი, მაგრამ ფიზიკურად თუ გაგვიძლებდნენ და ტემპში აგვყვებოდნენ, არ მეგონაო. „თბილისში ძალიან გაგვიჭირდება, ორრაუნდიანი ბრძოლის ბედი სწორედ იქ გადაწყდებაო“ — დაამატა ადამეცმა.

ისიც აღსანიშნავია, რომ „ვიტ ჯორჯიას“ არცერთ ფეხბურთელს გუშინ გაფრთხილება არ მიუღია. და კიდევ, მართალია, „არტმედია“ წინა სეზონის შემდეგ რამდენიმე ლიდერმა დატოვა, მაგრამ შევსებაც მიიღო. იან კოზაკი ინგლისური „ვესტ ბრომვიჩიდან“ გადაიყვანეს, ტომაშ ორავეცი პორტუგალიის „ბოავიშტადან“ დაიბრუნეს, ხოლო პირველი გოლის ავტორ ლუკაშ ჰარტიგს თავის დროზე ჩეხეთის ნაკრებშიც უთამაშია.

ილია ნანოგაშვილი

მიკა (სომხეთი) 1:3 იანგ ბოისი (შვეიცარია)
ორაშიე (ბოსნია) 0:2 დომჟალე (სლოვენია)
ძარვანი (აზერბაიჯანი) 1:0 ტრნავა (სლოვაკეთი)
დინამო (ალბანეთი) 0:1 ცსკა (ბულგარეთი)
ვენტსპილსი (ლატვია) 2:1 ბი ბოტუ (ფარერები)
ლევადია (ესტონეთი) 2:0 ჰაკა (ფინეთი)
ზაგლებე (პოლონეთი) 1:1 დინამო (ბელარუსი)
ვარტიძსი (ხორვატია) 1:1 ტირანა (ალბანეთი)
ჟენესი (ლუქსემბურგი) 0:2 სპონტო (ლატვია)
ჰიკ (ფინეთი) 1:1 დროჰედა (ირლანდია)
ვარდარი (მაკედონია) 1:2 რუზელარე (ბელგია)
სარაევო (ბოსნია) 3:0 რეინჯერსი (ანდორა)
ბატე (ბელარუსი) 2:0 ნისტრუ (მოლდოვა)
რანდერსი (დანია) 1:0 აპრანესი (ისლანდია)
გიოტებორგი (შვედეთი) 0:1 დერი სიტი (ირლანდია)
ზიმბრუ (მოლდოვა) 1:1 ყარაბახი (აზერბაიჯანი)
გეფლე (შვედეთი) 1:2 ლანელი (უელსი)
ლინი (ნორვეგია) 1:1 ფლორა (ესტონეთი)
უიპეშტი (უნგრეთი) 0:4 ვადუცი (ლიხტენშტაინი)
აპოელი (კვიპროსი) 3:1 მურატა (სან მარინო)
რაპიდი (რუმინეთი) 5:0 სლიმა უონდერერსი (მალტა)
ლოკომოტივი (ბულგარეთი) 2:0 მაკედონია (მაკედონია)
კოპერი (სლოვენია) 0:1 ლიტექსი (ბულგარეთი)
ვიდეოტონი (უნგრეთი) 1:0 კაირატი (ყაზახეთი)
ბაზელი (შვეიცარია) 3:1 ტოგოლი (ყაზახეთი)
ატვიდაბერგი (შვედეთი) 4:0 ეტცელა (ლუქსემბურგი)
შკალა (ფარერები) 0:1 სტარტი (ნორვეგია)
პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) 1:3 კაუნასი (ლიტვა)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) 0:1 ბრანი (ნორვეგია)
რილი (უელსი) 0:0 სუდუვა (ლიტვა)
ბრონდბიუ (დანია) 3:1 ვალური (ისლანდია)
რიეკა (ხორვატია) 2:2 ომონია (კვიპროსი)
ჰიბერნიანსი (მალტა) 0:4 დინამო (რუმინეთი)

ისლანდია
პრემიერდივიზიონი. X ტური
კეფლავიკი 6:2 ვესტმანაეიარი

ფინეთი
ვეიკაუსლიგა. XII ტური
ვაასა 0:0 იარო

უეფას თასი 2006–2007

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

ლანდები და სომხები

ბანანცი კარენოი ფაკელია?

ბათუმი. 30 ივლისი. 17.30 საათი. დინამო. 2 000 (ტევადობა 26 500)

ამერი 0:1 ბანანცი

0:1 ტადევოსიანი (10)

ამერი: ქვაჩახია, კედელაშვილი (სევასტოპულო 67), დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დეკანოსიძე, გაბისკირია (ბოლქვაძე 54), ჯელაძე, დოლიძე (დობროვოლსკი 82), დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი
სათადარიგონი: ნადირაშვილი, ბერიანიძე, მჭედლიშვილი, ტატანაშვილი
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

ბანანცი: რადაჩა, სიმონიანი, ჩერევკო, ბურდიანი, სიზანიანი, მელქონიანი, ჯენებიანი (ბირაპეტიანი 68), სარქისიანი (გრიგორიანი 90), არაკელიანი, აკოფიანი, ტადევოსიანი (მურადიანი 76)
სათადარიგონი: გალიგუზოვი, ბალაბეკიანი, კარაპეტიანი, დინდოკოვი
მწვრთნელი: ნიკოლაი კისელიოვი

გაფრთხილება: ბურდიანი (32, 53), ჯელაძე (36, 89)

გაძევება: ბურდიანი (53), ჯელაძე (89)
მსაჯი: ალბერტ ტუსანი (ლუქსემბურგი)

უეფას დელეგატი: რუდოლფ ზივრლი (სლოვენია)

გადგილ ჯაფარიძის ფოტო

კობა ინასარიძე

ესეც კიდევ ერთი ბანანცური... სასწაული და რაღაც ამდაგვარი მოხდაო, ნამდვილად ვერ ვიტყვით, ეს სომხური გუნდი კი ჩვენებისთვის მართლაც დაუმარცხებელი ჩანს და „მიხეილ მესხზე“ მოგებას ისე დაეჩვივნენ, ემანდ სხვა საშინაო მატჩებიც აქ არ გამართონ.

ეს ისე, შესავალივით...

გახსოვთ, შარშანდელი ივლისი? თუ არა, გეტყვით, რომ მაშინ ამ „ბანანცმა“ თბილისის „ლოკომოტივს“ სწორედ ამ სტადიონზე მოუგო 2:0 და შინ წაგებული 2:3-ის შემდეგ უეფას თასის შემდეგ ეტაპზეც გავიდა. ახლაა და, „ბანანცმა“ გუშინდელი 1:0-ით საქმე სანახევროდ უკვე გააკეთა და დიდი შანსიც გაიჩინა, რომ ისევე მეორე ეტაპზე გააღწიოს. არადა, სომხებმა უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველად სწორედ შარშან, „ლოკომოტივის“ დამარცხების შემდეგ ითამაშეს, მეორედ კი... თუმცა, მოდით, ნუ ვიჩქარებთ და საპასუხო ერევნულ შეხვედრას დაველოდოთ, მით უმეტეს, „ბანანცი“ სულაც არაა ის გუნდი, ვისთანაც სტუმრად ორი გოლის გატანა წარმოუდგენელია. „ლოკომოტივმა“ თუ ერევანში სამჯერ გაიტანა, რატომ არ შეიძლება ივივე „ამერმა“ გააკეთოს?! ისე კი, რაოდენ საწყენიც უნდა იყოს, პირველი მატჩის შემდეგ „ამერ“ — „ბანანცის“ წყვილში აშკარა ფავორიტები სწორედ სომხები არიან. მათ გუშინ მასპინძლებზე უკეთ ითამაშეს და შინაც დამსახურებული გოლით გაბრუნდნენ. ამერელებს საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანათ.

„ბანანცის“ თავხოტორა ფორვარდის ვანე ტადევოსიანის გატანილ გოლს ამერელებმა ვერაფრით უპასუხეს, იყო მხოლოდ მომენტები, უფრო სწორად, მომენტების მსგავსი და მის იქით აღარაფერი. მხოლოდ მომენტები კი, მოგეხსენებათ, ტაბლოზე არ იწერება. ამ მომენტების გარდა უამრავი შეცდომა და ქაოსური თამაში „ბანანცის“ ორგანიზებული დაცვის წინააღმდეგ. ტედევოსიანის ერთადერთი კი სწორედაც რომ პირიქით, „ამერის“ დაცვის ხაზში შექმნილ ქაოსს მოჰყვა. ვიდრე სომეხი ფეხბურთელი დაარტყამდა, „ამერის“ სამი მცველი ერთმანეთის იმედად დარჩა, საბოლოოდ ვერც ერთმა დააფარა და ბოლოს ბურთი კარში აღმოჩნდა. ეს ამბავი მეათე წუთზე მოხდა, რაც ბევრისთვის გასაკვირიც დარჩა. იქამდე ხომ „ყვითლებმა“ მატჩი რიხიანად დაიწყეს და სერბი მეკარის ნენად რადაჩას კართან რამდენიმე ხიფათიც შექმნეს. მარჯვენა ფლანგზე შეუჩერებელი იყო გრიგოლ დოლიძე და სწორედ მის სისწრაფეს მოჰყვებოდა ხოლმე არეულობა სომხების რიგებში. აი, ასე დაიწყო თამაში და მოულოდნელად... თუმცა „ამერს“ გათანაბრება მალევე შეეძლო — საჯარიმოდან იური გაბისკირიას დარტყმული რადაჩამ გაჭირვებით კუთხურზე მოიგერია, ხოლო იქიდან ჩაწოდებულზე გიორგი დავითნიძის თავურმა ხარიხას გადაუარა. შესვენებამდე დარჩენილი დრო, ვერ ვიტყვით, მასპინძლებმა შტურმით გალიესო, მაგრამ უპირატესობა ჰქონდათ, ეს უპირატესობა კი ყოვლად უშედეგო გამოდგა. თითქმის ყველა შეტევა სტუმართა საჯარიმოს მისადგომებთან იშლებოდა.

დაიწყო მეორე ტაიმი და დაიწყო ჩვენი გულთახეთქვაც. რასაც ველოდით ჩვენებისგან, ვერ მივიღეთ და, ყველაზე სამწუხარო რაც იყო, „ამერის“ თამაშის შემხედვარეთ 10-15 წუთში ანგარიშის საჩვენოდ შემოტრიალების ყველა იმედი გადაგვწურა. ცხადად ჩანდა, რომ „ამერი“ თამაშის მომგები აღარ იყო და ის ერთადერთი რეალური საგოლე მომენტი, რომელიც „ამერმა“ ათკაციანი „ბანანცის“ კართან შექმნა, ქომაგისთვის სანუგეშოდ ვერანაირად გამოდგება. აქვე აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც და მით უფრო გულსაკლავი იქნება „ამერის“ უსუსურობა: ლუქსემბურგელმა არბიტრმა სტუმართა ნახევარმცველი ანდრეი ბურდიანი ლამის თამაშის განახლებისთანავე რომ გააძევა, „ბანანცმა“ თითქმის მთელი მეორე ტაიმი კაცნაკლულმა ითამაშა, „ამერს“ კი განივი პასების მეტი, ფაქტობრივად, არაფერი უკეთებია. მეტიც, მატჩის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე სომხებს ერთი გოლის გატანაც მართებდათ. აბსოლუტურად მოშლილარეულ დაცვას იმავე ტადევოსიანმა ჩაუარა და ტექნიკურადაც დაარტყა, თუმცა, ბედად, იმ ეპიზოდში, ზურაბ ქვაჩახიამ იყოჩაღა.

რა შეიძლება ითქვას და რა შეიძლება დაიწეროს კიდევ „ამერის“ ასეთი, ყოვლად წარმოუდგენელი სუსტი თამაშის შემდეგ? ცხადია, კარგი არაფერი.

არ ვიცი, გუნდში რას ფიქრობენ და საპასუხო მატჩამდე რას აპირებენ. ტრიბუნიდან კი ჩანდა, რომ ფეხბურთელები, ცოტა არ იყოს, დამძიმებულნი და ინერტულნი იყვნენ, მათ თითქოს ბურთის გრძნობა ჰქონდათ დაკარგული და ერთმანეთი პირველად სწორედ მატჩისას ნახესო. იმდენი ელემენტარული შეცდომა და უზუსტო პასი, რამდენიც გუშინ „ამერს“ ჰქონდა, ბარე ათი მატჩისთვისაც საკმარისი იქნება. არანაირი გააზრებული კომბინაცია, არანაირი ტაქტიკური მონახაზი... გუშინ „ამერი“ მოედანზე თითქოს არც ყოფილაო. ჩანდა, უფრო სწორად, მოძრაობდა 11 ლანდი. ამერელებმა გუშინ კი დიდი სირცხვილი ჭამეს და ამას თუ ჩამოირეცხავენ, ორი კვირის შემდეგ ერევანში ვნახავთ.

გადგილ ჯაფარიძის ფოტო

პრესკონფერენცია



ნიკოლაი კისელიოვი:

— მატჩი „ამერის“ უპირატესობით წარიმართა, მეტოქეს გოლის გასატანად რამდენიმე კარგი შანსი ჰქონდა და ფრე კანონზომიერი შედეგი იქნებოდა. რა თქმა უნდა, გათვლას სწრაფ გოლზეც ვაკეთებდით, რადგან ასეთ დროს მოწინააღმდეგე ჩქარობს და იძაბება. „ამერს“ ფლანგებზე უპირატესობა ჰქონდა. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად შანსებს 50/50 ვაფასებთ.

გიორგი ჩიხრაძე: სათამაშო პრაქტიკა გვაკლდა, ჩეხეთში შეკრებაზე ყოფნისას სამი დაგეგმილი საკონტროლო მატჩი ვერ ვითამაშეთ. გოლი მატჩის დასაწყისში გავუშვით და ამან კიდევ უფრო დაამძიმა ჩვენი მდგომარეობა. როცა მეტოქე კაცნაკლული დარჩა, გოლის გატანის რამდენიმე შანსი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ.

— დოლიძე ნაყოფიერად გაისარჯა, ყველაზე აქტიური იყო, მაგრამ კუნთი დაეჭიმა და ამიტომ შევცვალეთ.

— რაც შეეხება იმას, თუ რატომ დავაყენეთ სასტარტოში გაბისკირია, ის კარგად იყო შეთამაშებული გუნდის მეორე ცენტრალურ ნახევარმცველთან და მისი შორეული დარტყმების იმედიც გვქონდა, მაგრამ გაბისკირიას თამაში არ წაუვიდა. თამაშის მერე შეცდომები კარგად ჩანს — შეიძლებოდა, სხვანაირი ყოფილიყო ჩვენი შემადგენლობა — მოედნის ცენტრი მართლაც დავთმეთ.

— რიცხობრივი უპირატესობის შემდეგ მესამე ფორვარდის გამოყვანა იმიტომ დავახანეთ, რომ მანამდე ტაქტიკური ცვლილება უკვე გაკეთებული გვქონდა — ჩიკვილაძე დაცვიდან მარცხენა ნახევარმცველად უნდა გადაწეულიყო, ჯელაძე კი ნახევარდაცვიდან მარცხენა თავდამსხმელად, თუმცა ეს ეფექტურად ვერ განხორციელდა.

— ისიცაა, რომ სომხეთში ახლა გაგანია სეზონია, ჩვენ კი სეზონში პირველი ოფიციალური მატჩი ვითამაშეთ და ბურთთან სწრაფად მუშაობის პრობლემა იგრძნობოდა.

— ეს ფეხბურთია და ორთამაშიან ბრძოლაში 0:1 არაფერს ნიშნავს, უბრალოდ, მეტოქეს შემდეგ ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსი აქვს. საპასუხო მატჩისთვის იმედიანად ვართ განწყობილნი.

უგოლობას მოევლება

ქართველები რუსეთში არ აბეჭენ

მალხაზ ასათიანი, დავით მუჯირი, მიხეილ აშვეთია, გოგიტა გოგუა და ალექსანდრე ჩიხრაძე — რუსული პრემიერლიგის მეთერთმეტე ტურში ქართველთაგან ამ ფეხბურთელებმა ითამაშეს და, მართალია, „ჩვენებური“ გოლი არ გასულა, მაგრამ მთლიანობაში წარმატებული ტური გამოუვიდათ

დავით მუჯირის პასებს „კრილიას“ გოლები მოსდევს

ასათიანის „ლოკომოტივმა“ შინ მოსკოვის „დინამოს“ 2:0 მოუგო, მალხაზი 90 წუთი მინდორზე იყო, ცენტრალურ მცველად ითამაშა და ერთხელ აშკარა გოლს გადაარჩინა თავისიანები — რკინიგზელები ცხრილში მეექვსე ადგილზე არიან.

ზესვლას აგრძელებს ნალჩიკის „სპარტაკი“: პრემიერლიგის „თავხედმა დებიუტანტებმა“ ამჯერად „ტომს“ 1:0 მოუგეს შინ, რაც ჩიხრაძისა და გოგუას დამსახურებაცაა — ორივემ სრულად ითამაშა. ნალჩიკელები მესამე ადგილზე არიან და ლიდერ ცეესკას მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან.

მეორეზე კი „რუბინია“, რომელიც გოგუა-ჩიხრაძის გუნდს ბურთების შეფარდებით უსწრებს. ყაზანელებს შინ „ტორპედოსთან“ რომ მოეგოთ, სულაც ლიდერები გახდებოდნენ, მაგრამ 1:1 დასჯერდნენ. ქართველთაგან მხოლოდ აშვეთიამ ითამაშა და ძალიან აქტიურიც იყო, თუმცა გოლს ვერ გამორჩა. მიხომ პირველ ტაიმში თავურით ძელსაც გაარტყა ბურთი, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც გაუცუდდა, რამდენჯერმე თანაგუნდელებიც დატოვა კარგ პოზიციაში, მაგრამ...

არც დავით მუჯირს გაუტანია, თუმცა სამი საგოლე პასი კი მიითვალა. „მუმუს“ „კრილიამ“ 6:1 განადგურა „ამკარი“ და მეოთხე ადგილზე აინაცვლა. ქართველმა სრულად ითამაშა, ბოლო წუთზე კი, ხარიხას გაარტყა ბურთი.

რადგან პრემიერლიგას ვუტრიალებთ, გიორგი ლომაიაზე და ნუკრი რევიშვილზეც ვთქვათ: ორივე ქართველმა მეკარემ დუბლებში ითამაშა და ორივემ მოიგო — ლომაიას „ლუჩენერგიამ“ „სატურნს“ 2:1 სძლია, რევიშვილის „რუბინმა“ კი „ტორპედოს“ 3:0 აჯობა. აშვეთიას რუბინულ ამბებს რომ მოგითხრობდით, ლაშა სალუქვაძე და გიორგი ჭინქლაძე არ გვიხსენებია: პირველი მათგანი სათადარიგო იყო, მეორე კი ჯერაც ტრავმას იშუშებს.

ილია ნანოგაფშვილი

კობის ხელობა — გოლი

გახოკიძემ დახურვით გახსნა

გელზენკირხენის „შალკემ“ მეორე ტეტს-მატჩი გამართა, ამჯერად ობერლიგელ „კარლსდორფს“ 2:0 მოუგო და ლევან კობიაშვილმა ისევ მიითვალა გოლი. 62-ე წუთზე „ხუმარათა“ ერთ-ერთმა ლიდერმა 15-16 მეტრიდან დაარტყა და ანგარიში 2:0 გახადა. შეგახსენებთ, კობიმ „შალკეს“ წინა საკონტროლო თამაშშიც შეაგდო და იმედია, გოლაობას ბუნდესლიგაში და, რაც მთავარია, საქართველოს ნაკრებშიც გააგრძელებს.

აი, გოგა გახოკიძემ კი გუშინდლამდე როდის გაიტანა, არ გვახსენდება. ან კი როგორ გაიტანდა, როცა ხანგრძლივი ტრავმა ჰქონდა. გოგას „ტვენტემ“ ენსხედეს სამოყვარულო კლუბი 12:1 გაანადგურა, ჩვენიანი შესვენების შემდეგ გამოჩნდა მინდორზე და ბოლო წუთზე მეთორმეტე გოლი სწორედ მან შეაგდო.

ორი ქართველი მარცხენაფლანგელის გოლებზე ვთქვით და, ბარემ გავასამოთ: ზაპოროჟიეს „მეტალურგისა“ და უნგრული „ზალაეგერსეგის“ ამხანაგურ მატჩში დავით კვირკველიამ პენალტი შეაგდო, თამაში კი 1:1 დასრულდა.

ილია ნანოგაფშვილი

ვასილ გიგიაძე: კრივბასი მორჩა, უკრაინა დარჩა

ლადო ბურდულისა არ იყოს, დაშლილ-დაქუცმაცებული „კრივბასიდან“ წასვლას ვასილ გიგიაძეც ჩქარობს. 29 წლის ქართველი ფორვარდი ამბობს, გუნდი რომც შეინარჩუნონ და პირველ ლიგაში ითამაშოს, მე იქ არ გავჩერდებიო.

„რაც „კრივბასში“ მოხდა, ყველა ფეხბურთელისთვის მოულოდნელობა იყო. ჩვენი ვარჯიშები და ტესტ-მატჩები რომ გენახათ, დარწმუნდებოდით, რომ მშვენიერ ფორმაში ვიყავით. ახლა მე უნდა მოვიფიქრო, რა გავაკეთო — ერთი ვიცი, პირველ ლიგაში არ ვითამაშებ და კიდევ, უკრაინაში მინდა დარჩენა. ამ ხნის განმავლობაში უკრაინა ძალიან შემიყვარდა“.

გიგიაძე საკმაოდ სახელიანი მოთამაშეა უკრაინის უმაღლესი ლიგის საზომით და, წესით, ახალი გუნდის მოძებნა არ უნდა გაუჭირდეს.

ილია ნანოგაფშვილი

ლაშა ჯაკობია: კლუბების გადანაცვლებით ქვეყანა არ იცვლება

რამდენიმე თვეა, 25 წლის თავდამსხმელი ლაშა ჯაკობია ხარკოვის „მეტალისტიდან“ წასვლას აპირებს, თუმც ჯერაც უშედეგოდ — „მეტალისტი“ ჯაკობიაში იმდენს ითხოვს, რომ ტრანსფერი ფერხდება. ჯაკობიას „მეტალისტთან“ კონტრაქტი დეკემბერში ეწურება და კლუბმა მას თავისი ვარიანტი შესთავაზა.

— რეალური შემოთავაზება მქონდა ბუქარესტის „რაპიდიდან“, მაგრამ კლუბები თანხაზე ვერ მორიგდნენ. „მეტალისტის“ ხელმძღვანელობამ მითხრა, ახლა იჯარით გაგიშვებთ სხვა გუნდში და როცა ჩვენთან კონტრაქტი დაგმთავრდება, მერე მის გაგრძელებაზე დავილაპარაკოთო. რადგან სხვანაირად არ გამოდის, იჯარით უნდა გადავიდე რომელიმე უკრაინულ გუნდში. ჩემით სამი-ოთხი უკრაინული გუნდია დაინტერესებული. ერთი სიტყვით, ახალ სეზონს კვლავ უკრაინაში დავიწყებ, მაგრამ არა „მეტალისტში“ — გვითხრა ჯაკობიამ.

დავით თავართქილაძე

საქართველომ ასეულში შეაღწია

საქართველოს ნაკრები „ფიფა-კოკა-კოლას“ რეიტინგში 14 საფეხურით წინ გადახტა და 87-ე პოზიცია დაიკავა. აქვე შეგახსენებთ, რომ, ფიფამ სარეიტინგო ათვლა სხვა პრინციპით დაიწყო: თუ ადრე საბაზისოდ ბოლო 8 წლის შედეგებს ითვალისწინებდნენ, ამჯერად ბოლო 4 წლის მონაგარს დაითვლიან.

პირველი ახლებური რეიტინგი გუშინ შედგა და იმხელა ცვლილებებია წინა თვესთან შედარებით... მაგალითად, უკრაინის ნაკრებმა 30 ადგილით ზემოთ აინაცვლა. მსოფლიო ჩემპიონობამ კი იტალია მეთერთმეტედან მეორე ადგილზე აიტაცა, ხოლო რეიტინგსიას ისევ ბრაზილია თამადობს და კვლავაც საკმაო უპირატესობით.

ილია ნანოგაფშვილი

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

1	1	ბრაზილია	1630
2	11	*იტალია*	1550
3	6	არგენტინა	1472
4	8	*საფრანგეთი*	1462
5	10	ინგლისი	1434
6	3	ჰოლანდია	1322
7	5	ესპანეთი	1309
8	7	პორტუგალია	1301
9	19	გერმანია	1229
10	2	ჩეხეთი	1223
15	40	*უკრაინა*	961
41	59	*შოტლანდია*	677
69	93	*ლიტვა*	458
87	101•	საქართველო	359
169	139	*ფარერები*	259

I გრაფა – ადგილი;
II – ადგილი წინა თვეში;
III – ქვეყანა; IV – ქულა

კიევის შინაური 3:3 „გუცაევს“ არ უთამაშია

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფ კიევის „დინამოს“ გუშინ ქუვეითის ნაკრებთან უნდა ეთამაშა, თუმცა სპარინგი არ შედგა და ანატოლი დემიანენკომ ორმხრივი მატჩი მოაწყო — გუნდი შუაზე გაყო, შეხვედრა კი 3:3 დასრულდა. დავით იმედაშვილმა სრულად ითამაშა, ოთარ მარცვალაძე კი მინდორზე რატომღაც არ გამოჩენილა.

სამაგიეროდ, მარცვალაძე კიევის „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტმა იოზეფ საბომ ახსენა, როდესაც მას ჟურნალისტი გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებზე დაეკითხა: „ოთარი ტექნიკური, სწრაფი და მრავალფეროვანი ფორვარდია. თამაშის სტილით ის ვლადიმერ გუცაევს ჰგავს“.

ილია ნანოგაფშვილი

თვესასწაული ყოველდღე

ემზარ ზენაიშვილი

აკრედიტებული შთაბეჭდილებები

გერმანიის ექვსი სამუნდიალო ქალაქიდან თერთმეტ მატჩზე დასწრების დაგვიანებულ რეპორტაჟსა თუ ჩანაწერებს ცოტა შორიდან, პირველი შთაბეჭდილებებიდან დავიწყებ. ეს კი 26 მაისს, ჩემპიონატის პირველ მატჩამდე ორი კვირით ადრე დაიწყო.

წვიმიან-ქარიანი და ცივი ამინდი იდგა მაშინ მიუნხენში, აი, ისეთი, აღრეულ გაზაფხულზე თუ გვიანდელ შემოდგომაზე რომ იცის ხოლმე. დილაადრიან მთავარ საკრედიტაციო ცენტრში მარტო გახლდით. ღიმილით შემხვდნენ, გერმანული ორგანიზებულობითა და პუნქტუალობით ერთ წუთში ყველაფერი მზად იყო! ეს მაშინ, როცა ჩემი ახირების გამო სურათი რამდენჯერმე გადავაღებინე. გაოცება გამოვხატე, ასე ჩქარა პირველად მივიღე აკრედიტაცია, მსგავსი რამ ტურინშიც კი არ იყო-მეთქი.

თავაზიანი ღიმილით გამომაცილეს, მე კი საგანგებო ავტობუსით ამ უზარმაზარი შენობის მეორე მხარეს, მაუწყებლობისა და მთავარ მედია-ცენტრში გადავინაცვლე. მხოლოდ მუშები ფუსფუსებდნენ — ტიხრებს აკეთებდნენ, იატაკზე ფარდაგს აგებდნენ, ტექნიკას ამონტაჟებდნენ, წარწერებსა და მინიშნებებს ამაგრებდნენ, ჩემპიონატის ემბლემიან პლაკატებს, სპონსორების სარეკლამო დაფებს აკრავდნენ. სიცივე და სიცარიელე იგრძნობოდა ამ გიგანტურ მრავალდარბაზიან შენობაში

შევნიშნე, ერთი-ორი კაცი ყავას შეექცეოდა. მე კი ჩაი და ნამცხვრის ნაჭერი მომწოდებლის ღიმილთან ერთად ცხრა ევრო დამიჯდა, თან ჯამ-ჭურჭელიც ამალაგებინეს...

უკვე მეოთხე ჩემპიონატზე ვარ აკრედიტებული და პირველად ვამჩნევ, რომ სტადიონების პრესცენტრებში უფასოდ წყალსაც კი ვერ დალევ. სადილი რომ მოგინდეს, ძალზე მწირი მენიუ ხომ ძვირია და ძვირი, თან მოსწრებაზეცაა — ვის შეხვდება.

... მახსენდება — 1998 წელს საფრანგეთში ჩემი ბიუჯეტის დიდი ნაწილი ქალაქიდან ქალაქში რკინიგზით მგზავრობას შეეწირა. გერმანიში სიტუაციის შესაძლო გაუმჯობესების გამო, უსიამოვნო წინათგრძნობა მქონდა, მაგრამ **DB**-მ (გერმანიის რკინიგზა) ძალზე ძვირფასი საჩუქარი გაუკეთა თითქმის ათი ათასამდე უცხოელ და ადგილობრივ ჟურნალისტს — მეოთხე ხელისუფლების ყველა აკრედიტებული ჟურნალისტი უფასოდ მგზავრობდა ქვეყნის შიგნით პირველი კლასის ვაგონით.

მერე და როგორია პირველი კლასის ვაგონები გერმანიაში!

... მიუნხენი და მთლიანად გერმანია, სპორტული თვალსაზრისით, სრულ მზადყოფნაში შეხვდა 9 ივნისს. ამასვე ადასტურებდნენ იოზეფ ბლატერი და ფიფას სხვა თავკაცები.

მაგრამ იყო შიში, რომელიც ბოლომდე დარჩა.

შიში ტერორისტების, რასიზმის გამოვლინების შიში. მოდი და, ნუ მოგეძალება იგი — მიუნხენში ახსოვთ 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებზე დატრიალებული ტრაგედია.

ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე ქვეყნის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ის რეგიონები ჩამოთვალა, სადაც შავკანიანების გამოჩენა შეიძლება, მათი სიცოცხლისთვის ძალზე საშიში იყოსო. როგორც ამბობენ, ბავარიის მთავარ პოლიციელს, გიუნტერ ბეკშტაინს ბოლო სამი თვე თითქმის არ უძინია — ცხადშიც და ძილშიც ტერორისტები ელანდებაო. გერმანელ სამართალდამცავებს მატჩები რისკისა და მაღალი რისკის შკალით ჰქონდათ დალაგებული. მაგალითად, თამაშები ირანის, აშშ-ის, ინგლისის, იტალიის, გერმანიისა და ზოგიერთი სხვა გუნდის მონაწილეობით ასეთებად მიიჩნეოდა და ამ მატჩების რაოდენობა 21-ს აღწევდა 64-დან. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები იქნა მიღებული. ისეთი არა, როგორიც იყო 2002 წლის ზამთრის თამაშებზე ამერიკულ სოლტ-ლეიკ-სიტიში (უბრალოდ, გავიხსენოთ 2001 წლის სექტემბრის მოვლენები და ამერიკელთა სიფრთხილე გასაგები გახდება), მაგრამ უფრო მკაცრი, ვიდრე თებერვალში ტურინის ზამთრის თამაშებზე. სხვათა შორის, მიუხედავად ერთგვარი დისკომფორტისა, გამოკითხული გერმანელების 84 პროცენტი სტადიონებზე გამკაცრებული კონტროლის მომხრე იყო.

ამავე დროს, ლიბერალური გერმანული პრესა შეშფოთებით წერდა — მოსალოდნელია, რომ ტერორიზმთან ბრძოლა ევროპული თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში გადაიზარდოსო. დღევანდელი ევროპული ლიბერალიზმის ადეპტი, წარმოშობით გერმანელი ინგლისელი ლორდი, 77 წლის რალფ დორენდორფი, რომელიც მიუნხენში საგანგებოდ იყო მიწვეული, გაუმართლებელ ზომებზე საუბრისას ამბობდა: „მე არ მეშინია ტერორის; მაგრამ მე მეშინია თავზეხელაღებული მებრძოლებისა, რომლებიც უცხოური ბომბების ძიებაში ჩვენს თავისუფლებას დაგვაკარგვინებენ...“ ამ მოსაზრებას ბევრი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე იზიარებდა.

საერთოდ, საინტერესო თეზაა.

გერმანელ სამართალდამცავებს სტადიონების, გუნდების საცხოვრებლების, სასტუმროების, თავად მატჩების დროს წესრიგის დაცვის გარდა, კიდევ ერთი თავის ტკივილიც ჰქონდათ: ყველა ქალაქში, სადაც მატჩები ტარდებოდა, გამოყოფილი იყო სპეციალური ადგილები გულშემატკივართა თავშეყრისთვის — შუადღიდან შუაღამემდე ათეულ ათასობით ყველა ჯურისა და ეროვნების, სხვადასხვა ასაკის ადამიანები იკრიბებოდენ იქ. სტადიონზე ალკოჰოლიან ლუდს თუ ვერ მიირთმევთ, ფანთა შეკრებაზე რამდენიც შეგიძლიათ, იგემეთ. მერედა, ხომ ვიცით, რომ ევროპაში ლუდს „ჭრა“ აქვს.

მიუნხენელები კიდევ ერთი ფაქტით იყვნენ უკმაყოფილონი — საფეხბურთო ზეიმი ჩაგვაშხამეს ახალმიღებული საგადასახდო კანონით, თითოეული ჩვენგანის ცხოვრება წელიწადში ორი ათასი ევროთი გაძვირდებაო, გულისტკივილით ამბობდნენ უმთავრესად საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენლები. თუმც, აქვე უნდა ითქვას, რომ მოსახლეობა ნაკლებად უკავშირებდა ამას მსოფლიო ჩემპიონატს.

8 ივნისს მრავალმა გერმანულმა გაზეთმა თავის მკითხველებს ასეთი რეკომენდაციით მიმართა: „ცოლთან ყველა თემაზე საუბარს დღეს მორჩით. ხვალ ფეხბურთი იწყება!“.

თუ არ ვცდები, „**BILD**“-მა გერმანიის მოსახლეობა სამ ფენად დაჰყო: პირველები (მათი რაოდენობა არცთუ ისე დიდია), რომლებიც მზად არიან, - უმალ, 9 ივნისს გამხდარიყვნენ ერთი თვით უფრო ბებრები; მეორენი (მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი), რომლებიც ოცნებობდნენ, რომ თვე გაიწელოს როგორც დღესასწაული, რომელიც, როგორც წესი, ყოველთვის ცოტაა; და მესამენი (დაახლოებით ყოველი მე-4 გერმანელი), რომელსაც სულ არ ენაღვლება, ჩემპიონატი იწყება თუ არა.

პრესაში ასეთ სტატისტიკასაც გაეცნობოდით — ყოველი სამი გერმანელი მამაკაციდან ორი სისტემატურად ეცნობა პრესის საშუალებით თავისი საყვარელი გუნდის ამბებს, ყოველი მეორე უყურებს ტელეტრანსლაციას, ყოველი მეოთხე კი რეგულარულად დადის ფეხბურთზე.

... 9 ივნისს კი ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღჭურვილ და უნიკალური ინფრასტრუქტურის მქონე საოცარ გიგანტურ მფრინავ თეფშზე — სპორტისა და გართობის ნამდვილ ტაძარში — „ალიანს არენაზე“, სადაც, სხვათა შორის, არასათამაშო დღეებში ექსკურსიის ხანგრძლივობა 75 წუთია, ზეიმი შედგა, ზეიმი ხელოვნებისა და სპორტის.

შეზღუდულ დროში, სულ რაღაც 25-ოდ წუთში, გახსნის ცერემონიალის შემოქმედებითმა ჯგუფმა მშვენივრად შეძლო ფოლკლორისა და მოდერნის შეხამება, ფეხბურთისა და მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიის ასახვა ამ ისტორიის უშუალო შემქმნელების მონაწილეობით, ტექნიკური ტრიუკების ჩვენება, შესანიშნავი კოსტიუმების დემონსტრირება. პელესა და კლაუდია შიფერის წყვილი ხომ იყო და იყო.

მაგრამ, საოცარი სხვა რამ იყო — როგორ მოხერხდა ცერემონიალის დამთავრების შემდეგ, სულ რაღაც რამდენიმე წუთში, საფეხბურთო არენისთვის მიეცათ მისი პირდაპირი დანიშნულების იერსახე. მოედნის საფარს სამმაგი დაცვა ჰქონდა, სხვა უამრავი ატრიბუტიც — წონაში ტონობით რომ გაიზომებოდა.

პირველ მატჩზე ამინდი საფეხბურთოა, განწყობა ამაღლებული და მშვენიერი. თამაშიც არ გამოდგა ურიგო. რაც მატჩის შემდეგ მიუნხენში ხდებოდა, ადვილი წარმოსადგენია — თანაც საყოველთაო საფეხბურთო ზეიმი დაემთხვა მიუნხენის დაარსების 848-ე წლისთავს და... პარასკევს მოგეხსენებათ, სამუშაო კვირის ბოლო საღამოს და შაბათს ევროპაში (და არა მხოლოდ) ყველანი დროსტარებას, გართობას და დასვენებას ეძლევიან. და მართლაც, მიუნხენის ყველა კუთხე-კუნჭულში, განსაკუთრებით კი მარინერპლაცის მიმდებარე ტერიტორიაზე, გათენებამდე გრძელდებოდა დროსტარება.

ცნობილი მიუნხენური ფაქტია — იქ, სადაც იწყება ლუდი, ხუმრობა დაუშვებელია! ჰოდა, წარმოიდგინეთ, რამდენი კათხა ლუდი დაიცლებოდა!

სხვათა შორის, იმ დღეს, 9 ივნისს, ორი რეკორდიც დამყარდა. მიუნხენის აეროპორტმა 1400-ზე მეტი თვითმფრინავი მიიღო და გააცილა, ხოლო ბავარიის დედაქალაქის მეტროს U-ხაზმა 180 ათას მგზავრს უმასპინძლა.

და კიდევ — პირველი მატჩის 21-ე წუთზე მიუნხენში გოგონა დაიბადა, რომელსაც, ბუნებრივია, ვიქტორია დაარქვეს.

მატჩს არ შევეხები. მხოლოდ ერთს ვიტყვი — რუდი ფიოლერის გამოკვეთილი უინტერესო დაცვითი სქემისგან განსხვავებით, იურგენ კლინსმანის ნაკრებმა შეტევითი და სანახაობრივად მიმზიდველი ფეხბურთი ითამაშა, თუმცა დაცვაში პრობლემები აშკარად ჩანდა.

გერმანიის ყველა წიგნის მაღაზიაში 15 ევროდ იყიდება კლინსმანის წიგნი „როგორ გავხდეთ ჩემპიონები“. რა უწერია, ჩემპიონად გახდომის რა რეცეპტი აქვს, ვერ გეტყვით, არ წამიკითხავს, მაგრამ ფორმულა ჩემპიონობისთვის არ ეყო. ისე, ნაკრების თავკაცს ბევრი არაკეთილმოსურნე ჰყავდა, პრესისგანაც ბევრ კრიტიკას იღებდა. დისკომფორტი იყო გუნდში ოლივერ კანის ყოფნა — ყველას და კლინსმანსაც ეგონა, რომ ბოლო ათწლეულის მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული მეკარე არ შეეგუებოდა პირველის მაისურის დაკარგვას და საერთოდ უარს იტყოდა ჩემპიონატში მონაწილეობაზე. ცნობილია ისიც, რომ კლინსმანს კრიტიკას არც ბალაკი აკლებდა.

...გერმანელთა გუნდში ყველაზე კარგი შთაბეჭდილება მცველმა ფილიპ ლამმა დატოვა, მაგრამ უფრო როგორც გოლეადორმა და შემტევმა. ლამი ჯერ მხოლოდ 22 წლისაა და ის კიდევ დიდხანს ითამაშებს დიდ ფეხბურთს.

„მე ვამაყობ ჩემი შვილით. მას უყვარს გერმანია და უყვარს ფეხბურთი. ის ძალიან თბილი და ყურადღებიანია ჩემს მიმართ. დღესაც მისი თხოვნით დავესწარი მატჩს. უკეთ ითამაშებდა, მაგრამ ტრავმირებულია“ — სიხარულის ცრემლებს ვერ მალავდა ჩემპიონატის პირველი გოლის ავტორის დედა დანიელა.

გაგრძელება იქნება

ქალბატონი მალიქა: დავასაჭურისოთ მატერაცი, ეგ არაკაცი!



AFP

გერმანია 2006-ის ფინალზე და ზიდანის ნაჯეჯგვებ სახელგანთქმულ თავურზე მსოფლიო მედია ალბათ კიდევ დიდხანს ილაპარაკებს. ინგლისურ „მირორში“ დაიბეჭდა ზიდანის დედის, მალიქას ნათქვამი: — „მატერაციმ მე და ჩემს ქალიშვილს არაბი ბოზები და ტერორისტები გვეძახა? კარგი. ცამდე მართალი ყოფილა ზინედინი, ოჯახის გამქიქებელი მოედანზე რომ უცემია. უნდა დაასაჭურისონ ეგ არაკაცი ასეთი შეურაცხყოფისთვის“.

სახელგანთქმული ფეხბურთელის დედა მძიმედ გახლავთ ავად და აკი მოინანია უკვე მატერაციმ — ზიდანის დედა ავად თუ იყო, არ ვიცოდი, თავად მე დედა გარდაცვლილი მყავსო... თუმცა ცხელსისხლიანი სამხრეთელები წყენას არ ივიწყებენ და განრისხებული ქალბატონი მალიქაც მაგინებელს არ პატიობს: „ოჯახში ყველა ძალიან ნერვიულობს — ზინედინი თავის კარიერას წითელი ბარათით არ უნდა ასრულებდეს. მან არაკაცი იტალიელისგან ოჯახის ღირსება დაიცვა, თუმცა ეს ძალიან ძვირი დაუჯდა...“

მუნდიალის ფინალის ინიციატორ დონ ალფრედო დი სტეფანოც გამოეხმაურა, მადრიდის „რეალის“ ლეგენდარული ფეხბურთელი და ახლა საპატიო პრეზიდენტი.

„ზიდანს ყველანაირად ვამართლებ. რა თქმა უნდა, მან საფეხბურთო წესი უხეშად დაარღვია, მაგრამ მატერაცის ნათქვამ სისაძაგლეებს თუ გავითვალისწინებთ, ზიზუს საქციელი არ უნდა გაგვიკვირდეს“ — განაცხადა დონ ალფრედომ.

ამასობაში ინტერნეტში ფრანგის თავურზე ერთი ამბავია ატეხილი. გამოვიდა თამაში, სადაც ზიდანით მატერაცი კიდევ ერთხელ შეგიძლია დააშამათო (საიტის მისამართია **www.minijuegos.com**) ასევე, მავანმა ფრანგულმა ჯგუფმა ვიდეოკლიპი ჩაწერა, სახელით **ZIDANE IL A TAPE**. ანუ „ზიდანმა დააჯახა“. კლიპი ინტერნეტით ვრცელდება და საფრანგეთში ფრიად პოპულარულია.

ლადო ხომერიკი

ნამდვილი ვირი ვარ

ბულალტერი ჯენარო დურგლიშვილი ფეხბურთელი რომ არ გამხდარიყო, მეთევზე იქნებოდა

ამბობენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯენარო გატუზოს წარმატების საიდუმლო მის წარმოშობაშია — ის ერთი უბრალო კალაბრიელი ოჯახის შვილია. უფრო ზუსტად, მის სოფელს ჰქვია კორილიანო კალაბრო — ეს სახელი არავის არაფერს ეუბნება, ხომ მართალია? სამაგიეროდ, მთელ მსოფლიოში მრავლისმეტყველია საკუთრივ რინო გატუზოს სახელი, ოღონდ მას, როგორც ფეხბურთელს აქ არ დავახასიათებთ

AFP

— რა გქონდათ გასული ჩემპიონატის დღეებში კარგად დაცდილი?

— წვერს არ ვიპარსავდი.

— იტალიის ამ ნაკრებზე ამბობენ, რომ ფანტასტიკური გუნდია. პირადად თქვენ ვისთან მეგობრობთ?

— ყველასთან. ხოლო ოთახში მარტო იმიტომ ვცხოვრობ, რომ ძალიან განცდიანი ვარ — გვიან ვიძინებ, ვწრიალებ და ტელევიზორს არასოდეს ვრთავ. მე რომ მძინავს ის მაინც ჩართულია. გარდა ამისა, ფარდებს არასდროს ვაფარებ. მოკლედ, აუტანელი ვარ.

— „სკუადრა აძურაში“ ვინ იყო ყველაზე დიდი ოპტიმისტი?

— ჯიჯი ბუფონი. ის ჩემპიონატის პირველი დღიდან ყველაზე იმედიანად იყო.

— მოდი, თქვენს პირად ცხოვრებაზე ვილაპარაკოთ. თქვენ ძალიან ხშირად ახსენებთ მამათქვენს, ფრანკოს. ის თქვენთვის მაგალითია? სად მუშაობს მამათქვენი?

— ახლა უკვე, ჩემი ოჯახი კალაბრიის ტერიტორიაზე მაღაზიათა ქსელს ფლობს, თუმცა ყოველთვის ასე არ იყო. პატარაობაში მამა და უფროსი ძმა დურგლები იყვნენ. ძნელი სამუშაოა. გაჭირვების გადასალახად მამაჩემს 18 წლისას გერმანიაში წასვლაც მოუხდა, იქ ბედს ეძებდა. სულ ნერვიულობდა, რადგან გრძნობდა, რომ ჩემი და ჩემი ორი დის შენახვა უჭირდა.

— ალბათ, რაღაც-რაღაცეებზე უარსაც ამბობდით...

— ზედმეტი არასდროს არაფერი გვქონია, მაგალითად, მე პლაჟზე ფეხბურთს ყოველთვის ფეხშიშველი ვთამაშობდი, ბუცები რომ არ გამეცვითა.

— ახლა გერმანიიდან სახლში რომ ჩახვედით, უპირველეს ყოვლისა რა გააკეთეთ?

— მამასთან ერთად თითო ჭიქა ღვინო გადავკარი.

— ფეხბურთელი რომ არ გამხდარიყავით, რა გზას დაადგებოდით?

— მეთევზე ვიქნებოდი. 13 წლისას თევზაობა მაჯადოვებდა. მართალია, უკვე მამას ვეხმარებოდი და ფიცრებისგან ყუთებს ვაწყობდი, მაგრამ თევზაობაზე ვოცნებობდი.

— ღღეს კი ფეხბურთელი ხართ, სოციალურ სფეროში მოღვაწეობთ, ომის საწინააღმდეგო ფილმიდან „ფარენგეიტ 9-11“-დან ციტატები მოგყავთ. ამტკიცებთ, რომ ისინი, ვისაც ცხოვრებაში გაუმართლა, სამაგალითოდ უნდა იქცეოდნენ. საიდან გაქვს ეს იდეები?

— ჩემი მასწავლებელი და სათაყვანებელი პიროვნება დემეტრიო ალბერტინია, ყოფილი მილანელი.

— ფეხბურთელი რომ აღარ იქნებით იტალიის ფეხბურთელთა ასოციაციაში კანდიდატურას თუ წამოაყენებთ?

— საამისოდ მეტისმეტად იმპულსური ვარ და, თან, მთელი ღღე პიჯაკით ვერ ვივლი. ჰალსტუხის შეკვრა ღღესაც არ ვიცი.

— რა დიპლომი გაქვთ?

— ბულალტერის. ბოლო ორი წლის განმავლობაში კერძო ტექნიკუმში ვსწავლობდი.

— წიგნებს კითხულობთ?

— ადამიანი, რომელიც ჩემსავით იკვნეტს ფრჩხილებს, წიგნს გულს ვერაფრით დაუდებს.

— 13 წლისა პერუჯაში გადახვედით, რათა ფეხბურთი გეთამაშთ.

— სხვა ბიჭებთან ერთად ინტერნატში მოვხვდი. რა თქმა უნდა, იყო წუთები, როდესაც ყველაფრის დატოვებას და შინ გაქცევას ვაპირებდი, მაგრამ არ გამომივიდა.

— 19 წლისა კი გლაზგოში გაემგზავრეთ. ეს, ალბათ, ჯარში წასვლას ჰგავდა.

— იქ, პოლ გესქოინი ხშირად აშაყირებდა ახალმოსულებს. მაგალითად, ერთხელ ჩემს გეტრებში მოუსაქმავს. კიდევ კარგი, სანამ ფეხს ჩავყოფდი შევამჩნიე.

— რაღაც, ვერ შეეწყვეთ „რეინჯერსს“...

— თავად ძირითად შემადგენლობაში კი ვთამაშობდი, მაგრამ „რეინჯერსში“ ასეთი წესი ჰქონდათ, ძირითადის ხალხს სათადარიგოები ბუცებს უწმენდნენ. გამოდიოდა, რომ ჩემთვის ფეხსაცმელი ჩემს თანატოლებს უნდა ეწმინდათ, ეს კი უსამართლობად მიმაჩნდა.

— მართალია, ლამაზი მამაკაცი არ ხართ, მაგრამ, როგორც ამბობენ, ქალები გეტანებიან...

— არც ლამაზი ვარ და არც მახინჯი. მონიკა ათი წელიწადია ჩემი ცოლია და საერთოდ, გოხოვთ ამ თემაზე ნუ ვილაპარაკებთ.

— მონიკაც ტელევიზორში ან სამოდელო ბიზნესში მუშაობდა?

— ის გლაზგოში გავიცანი, უნივერსიტეტში სწავლობდა. მამამისს ნეაპოლური რესტორანი აქვს. რაც შეეხება ტელეწამყვანებს და მოდელებს, იმაში, რომ ფეხბურთელებს ამ პროფესიის ქალები მოჰყავთ ცოლად, ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— მაგრამ, თავად მონიკა ამჯობინეთ.

— წმინდანია, მე მიძლებს. როგორც ყველა კალაბრიელი ჯიუტი გახლავართ და წყენა ვიცი. მოკლედ, პირდაპირ რომ გითხრათ ნამდვილი ვირი ვარ. რესტორანი ხომ მაქვს, მაინც სახლში მინდა ჭამა და თუ მაკარონი ზედმეტად მოხარშეს, ვჯიჯღინებ.

— თქვენს გარეგნობას დავუბრუნდეთ. „დოლჩე და გაბანას“ რეკლამაში საცვალში ხართ. ფოტოზე ძალიან გაბღენძილი ჩანხართ, პირველ პლანზე წამოჭიმული...

— ვერაფერს გეტყვით, რეჟისორებს ჰქონდათ ასეთი ჩანაფიქრი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მრცხვენოდა და თან ძალიან.

— თან რაღაც კრემის გამო ერთიანად ლიპლიპებთ.

— არ იფიქროთ, რომ კოსმეტიკას ვხმარობ. ხომ ხედავთ, წვერს როგორც ვუვლი?

— ფაბიო კანავარო ამბობს, რომ ფეხბურთელის წარმატების საიდუმლო სწორ კვებასა და ზომიერ სექსშია. ეთანხმებით?

— გაჩნია, თქვენი სექსი რამდენად არის კავშირში სიყვარულთან. თუ კავშირშია, მაშინ ის ზიანს ვერანაირად ვერ მოგიტანთ, ვერც ცოტა და ვერც ბევრი.

— კეთილი, მაშინ, გვასწავლეთ ფული როგორ დავაბანდოთ.

— ფრთხილად. მე საერთოდ ეჭვიანი ვარ და ბიზნესთან დაკავშირებით მხოლოდ ორ მეგობარ-კონსულტანტს ვენდობი. მინიმალური რისკით ცოტას მოგება მირჩევნია. არ მინდა ვინმეს ვათქმევინო, რომ გავქაჯდი და ფული გავფლანგე.

— ქველმოქმედებას რამდენი ხანია მისდევთ?

— ორი წლის წინ დავუკავშირდი **ONLUS FORZA RAGAZZI**-ს ფონდს. ჩვენ ბევრ ასპექტს ვეხებით. დაწყებული ჩემი სოფლის საავადმყოფოთი, ომის ინვალიდებით და ღარიბი კალაბრიელი ბავშვებით დამთავრებული.

— საყურე მოგბეზრდათ?

— სვირინგიც, „მილანის“ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შემდეგ რომ გავიკეთე. შეიძლება მოვიშორო.

— თუ მილანს სერია B-ში გაგდებენ, გაჰყვებით?

— დიახ. მრავალწლიანი კონტრაქტი მაქვს და ის უნდა დავიცვა. ამ კლუბის წინაშე ვალში ვარ.

— ინგლისში თამაშზე კიდევ ოცნებობთ?

— „მანჩესტერ იუნაიტედზე“ ვოცნებობდი, მაგრამ არ მგონია ეს ოდესმე მოხდეს.

— დაბოლოს, საუბარში კალაბრიულად უქცევთ?

— რა თქმა უნდა. განსაკუთრებით, როცა ნათესავებს და მეგობრებს ტელეფონით ველაპარაკები.



ლილიან ტურამი

AFP

ბუფონი და კანავარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფამ მსოფლიო თავის ჭკუაზე გამოჭრა და შეკერა

მსოფლიოს ახალდამთავრებულ ჩემპიონატზე, მოგეხსენებათ, ოთხივე ნახევარფინალისტი ევროპელი გახლდათ და ამიტომ, უეფამ საინტერნეტო გვერდზე მუნდიალის საუკეთესოთა თავისი ვერსია გამოაქვეყნა.

მეკარე: ჯანლუიჯი ბუფონი (იტალია). მას მთელი შეჯიბრების განმავლობაში, შეიძლება ითქვას, გოლი ვერ გაუტანეს. თუ ფინალში ზინედინ ზიდანის გოლს იმის გამო, რომ პენალტი იყო, არ ჩავთვლით, მან თამაშიდან მხოლოდ ერთხელ გაუშვა და ისიც, კრისტიანო ძაკარდოს ბურთი შემთხვევით აეჭრა თავისი კარის მიმართულებით.

მარჯვენა მცველი: ჯანლუკა ძამბროტა (იტალია). უეფას ექსპერტებმა იგი ფრანგ ვილი სანიოლს ამჯობინეს. უპირველეს ყოვლისა აღნიშნავენ, რომ მეორე თამაშიდან ანუ ძამბროტას გამოჩენის შემდეგ იტალიის ნაკრები გაცილებით მყარი გახდა.

ცენტრალური მცველი: ლილიან ტურამი (საფრანგეთი). საყოველთაო აზრით, 1998 წლის მუნდიალის ერთ-ერთი გმირთაგანი ამ ჩემპიონატზე იქნებ ნაკლებ ეფექტური, მარგამ ისევე სასარგებლო გახლდათ. მნიშვნელოვანია, რომ ერთიხანობა მან ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა, მაგრამ შემდეგ დაბრუნდა და როგორც გაირკვა სულაც არ ყოფილა დაძაბუნებული.

ცენტრალური მცველი: ფაბიო კანავარო (იტალია). მიუხედავად იმისა, რომ მეტად ძლიერი პარტნიორი, ალესანდრო ნესტა ტრავმამ გვერდიდან მოაშორა, კანავარომ მთელი ჩემპიონატი საუცხოოდ ითამაშა. ფინალი მისთვის მეასე სანაკრებო შეხვედრა გამოდგა.

მარცხენა მცველი: ფილიპ ლამი (გერმანია). უეფას ექსპერტებს ამ პოზიციაზე საუკეთესოდ ან ლამი უნდა დაესახელებინათ ან იტალიელი ფაბიო გროსო, მაგრამ საბოლოოდ მიიჩნიეს, რომ ლამი მთელს ფლანგზე, როგორც დაცვაში ასევე შეტევაში უფრო ძლიერად თამაშობდა. თან, გაითვალისწინეთ, რომ რომ მისი მუშა ფეხი მარჯვენაა და არა მარცხენა.

ნახევარმცველი: ანდრეა პირლო (იტალია). უეფას ექსპერტებმა ყველაზე სწორად საუკეთესოების რომბისებური სისტემით შერჩევა მიიჩნიეს და პირლოს საყრდენი ნახევარმცველის ფუნქცია მიანიჭეს. მისი თვისება, როგორც შეტევის განვითარება, ასევე მეტოქის შეტევის ჩაშლაცაა.

ნახევარმცველი: პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი). ვიეირა გუნდის ძრავაა. ფეხბურთელმა, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში საზარდულზე კუნთებდაჭიმული თამაშობდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე უმაღლესი ხარისხის ფეხბურთი აჩვენა.

ნახევარმცველი: კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია). წინააღმდეგობრივი, მაგრამ ძალიან კაშკაშა ფიგურაა. მის ჩქაროსნულ დრიბლინგს ჰოლანდიელი არიენ რობენის დრიბლინგი თუ შეედრება. მუნდიალზე მისი სწორი თამაშის წყალობით ფიგუმ და მანიშემ საუკეთესო თვისებები გამოავლინეს. 21 წლის მიუხედავად მტკიცე იყო პენალტების სერიაშიც.

ნახევარმცველი: ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი). პირველ შეხვედრებში შედარებით უფერული თამაშის შემდეგ, ბევრმა გასული ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელის გვარზე ხაზის გადასმა იჩქარა, მაგრამ ჰლეი ოფში მაყურებელმა სწორედ რომ ძველებური ზიდანი იხილა, ხოლო ფეხბურთთან გამოთხოვების მისმა „ორიგინალურმა“ მეთოდმა მთელი ჩემპიონატი გახადა დაუვიწყარი.

თავდამსხმელი: მიროსლავ კლოზე (გერმანია). კლოზემ ამ ჩემპიონატზეც ისევე კარგად ითამაშა, როგორც წინაზე. იაპონიისა და კორეის სტადიონებზე მან ხუთი გოლი გაიტანა და ამ მონაგარს ხუთიც გერმანიაში დაამატა — ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

თავდამსხმელი: ფერნანდო ტორესი (ესპანეთი). ამ სწრაფმა ფორვარდმა რამდენიმე დაუვიწყარი მატჩი ჩაატარა. უკრაინელებთან მან მონადირა პენალტი, შემდეგ გოლიც გაიტანა, რასაც ტურნირზე კიდევ ორი გოლი მიამატა.

პაპუნა კედია

ციფრული ჩემპიონატი

მაშ ასე, გერმანიის სტადიონებზე 31 დღეში გამართულმა 64-მა შეხვედრამ მსოფლიო „ძველი ახალი“ ჩემპიონი, იტალიის ნაკრები, ხოლო სტატისტიკოსებს გამომთვლელ მანქანებსა და დავთრებში თავის ჩარგვის საშუალება მისცა. რა ციფრებით იყო საინტერესო მე-18 მუნდიალი? სტატისტიკოსთა ნაღვაწის ერთ ნაწილს ქვევით გთავაზობთ.

64 შეხვედრაში გავიდა 147 გოლი, რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალოდ ერთ თამაშში 2,29 გოლი გადიოდა. ეს მაჩვენებელი შეადარეთ წინა ორ ჩემპიონატს: 1998-ში გავიდა 171 გოლი (საშუალოდ 2,61), ხოლო 2002 წელს 164 (საშუალოდ 2,52).

ყველაზე მეტი, 14 გოლი გაიტანა გერმანიამ, მეორე კი 12 გოლით იტალია გახლდათ. ამ ორმა გუნდმა მაქსიმალური, 7 თამაში ჩაატარა. არგენტინელებმა 5 შეხვედრაში 11 გოლი შეაგდეს, ესპანელებმა 4-ში 9 ანუ საუკეთესო საშუალო მაჩვენებელი გამოუვიდათ — 2,25. ესპანელებმა დაარტყეს ყველაზე მეტი, 3 პენალტი. საფრანგეთმა, პორტუგალიამ და კოტ დივუარმა ორ-ორი.

ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვება იყო არგენტინელთაგან სერბეთ-ჩერნოგორიის ძლევა 6:0. ექვსი გოლი გავიდა პირველ შეხვედრაშიც, გერმანიამ კოსტა რიკას 4:2 მოუგო.

კარისკენ ყველაზე მეტჯერ დაარტყა გერმანიამ — 113. მეორეზეა პორტუგალია, რომელმაც ასჯერ დაარტყა, მესამეზე 83 დარტყმიანი იტალია. რაც შეეხება იმ დარტყმებს, რომლებიც კარს არ აცდა (ან გოლი გავიდა ან მეკარემ აიღო). აქ პირველზე გავიდა პორტუგალია 51 დარტყმით, მეორეზე გერმანია — 50, მესამეზე იტალია — 48.

კარისკენ ყველაზე მეტჯერ დაარტყა ფრენკ ლამპარდმა — 24. მეორეზე გავიდა ამიერიდან მისი თანაგუნდელი „ჩელსიში“, მიხაელ ბალაკი, ხოლო მესამეზე ბალაკის თანამემამულე, გერმანიის ნაკრების ფორვარდი მიროსლავ კლოზე.

კარში დარტყმებით ყველას ტიერი ანრიმ აჯობა — 13 (16 მცდელობიდან ანუ კარს სულ სამჯერ აცდინა), 12-12 აქვთ კრიშტიანუ რონალდუსა და კლოზეს.

საგოლე პასები ყველაზე მეტი არგენტინელებმა შეასრულეს (სხვა სიტყვებით, თავიანთ მეგოლეს თავად მისცეს ბურთი) — 10. 9 საგოლე პასი ჰქონდათ იტალიელებს, ხოლო გერმანელებს 8. ინდივიდუალურად კი პირველზე 4 პასით გავიდა არგენტინელი ხუან რომან რიკელმე, სამ-სამჯერ კი გაატანინეს ლუიშ ფიგუმ, ანდრეა პირლომ, სებასტიან შვაინშტაიგერმა და ფრანჩესკო ტოტიმ.

მეკარეთაგან პირველია ბუფონი, რომელმაც 27 დარტყმა მოიგერია. მეორეზე 25 დარტყმის მომგერიებელი პორტუგალიელი რიკარდუ გავიდა.

44 კუთხური ჩაწოდეს იტალიამ და პოტუგალიამ, 41 საფრანგეთმა.

ყველაზე მეტი მოკლე პასი გადააწოდა პორტუგალიამ 2547, შემდეგ გერმანიამ 2392. გრძელ პასებში ყველას აჯობა გერმანიამ 821, მეორეზე კი იტალია გავიდა — 711.

ფლანგიდან საჯარიმოში ყველაზე ბევრჯერ ჩაკიდა გერმანიამ — 202. მეორეზე გავიდა პორტუგალია — 166.

220 ორთაბრძოლა ჰქონდა გერმანიას, 187 იტალიას და უკრაინას, ხოლო 170 საფრანგეთს. ცალკეულ ფეხბურთელთაგან პირველზე გავიდა იტალიელი ჯენარო გატუზო — 47, მეორეზე პატრიკ ვიეირა 36 და მესამეზე ვიეირას თანაგუნდელი ერიკ აბიდალი — 32.

ყველაზე მეტჯერ, 125-ჯერ დაჯარიმდნენ გერმანია და საფრანგეთი. ყველაზე მეტჯერ, 152-ჯერ დაჯარიმდნენ იტალიის წინააღმდეგ.

ყველაზე მეტჯერ შეებრძოლენ ლუიშ ფიგუს — 42, მერე კრიშტიანუ რონალდუს — 36 და ორ ფრანგს, ფლორენ მალუდას — 35 და ფრანკ რიბერის — 33.

პაპუნა კედია

ფრენკ ლამპარდი

AFP

ტიერი ანრი

ბრაზილია და არგენტინა ლივერპულში გაერთიანდა

AFP

აურელიო, ბენიტესი და პალეტა

ინგლისური „ლივერპული“ ორი ფეხბურთელით გაძლიერდა. მერსისაიდელები დიდი ხანი უტრიალებდნენ ვალენსიელ ფაბიო აურელიოს და ბოლოს და ბოლოს საწადელსაც მიაღწიეს. მასთან ერთად მედიას არგენტინული „ბანფილდიდან“ ნაყიდი ახალგაზრდა საყრდენი ნახევარმცველი გაბრიელ პალეტა წარუდგინეს. ახლა რაფაელ ბენიტესის მთავარი სამიზნე სევილიელი დანიელ ალვეშია. იმავდროულად, როგორც მოსალოდნელი იყო, „ენფილდი“ ჯიბრილ სისემ დატოვა.

როგორც ცნობილია, „ლივერპული“ ალვეშში 12 მილიონ გირვანქას იხდის. მას სხვა მსურველებიც ჰყავს, მაგრამ „სევილია“ უარზეა, ან უფრო მეტი ფული უნდა. ბენიტესი კი დანებებას არ აპირებს.

„სასურველ ფეხბურთელთა სიაში კიდევ რამდენიმე გვარია და ალვეში ერთ-ერთი მათგანია. ამ ტრანსფერთან ჯერ ახლოსაც არ ვართ, მაგრამ შანსი კიდევ გვაქვს და ვეცდებით, გამოვიყენოთ“ — თქვა ესპანელმა მწვრთნელმა.

ბენიტესს ალვეში „ენფილდის“ ახალწვეულმა აურელიომაც შეუქო: „დანიელის თამაშს კარგად ვიცნობ. იგი სწრაფია და ხშირად ერთვება შეტევებში. თუ მისი შეძენა შევძელით, „ლივერპული“ ბევრად გაძლიერდება და იმედია, ასეც მოხდება“.

აურელიო 26 წლისაა და ბრაზილიის ნაკრებიდან წასული რობერტო კარლოსის ერთ-ერთ შემცვლელად მოიაზრება. იგი საკმაო წარმატებით თამაშობდა „სან პაულუში“ და მერე „ვალენსიაში“, სადაც სამი წლის მანძილზე ბენიტესის შეგირდი იყო, ახლა ისევ დაუბრუნდა და პირველი ბრაზილიელი იქნება, ვინც „ენფილდზე“ ითამაშებს.

„ესპანეთში 6 წელი გავატარე, მაგრამ სამხრეთ ამერიკულიდან ევროპულ ფეხბურთზე ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ გადმოვერთე. ვფიქრობ, პრემიერლიგაში გადასვლა ძალიან დამეხმარება და შესაძლებლობებს ბოლომდე გამოვავლენ. ინგლისის ჩემპიონატის მოგება ჩვენი მთავარი მიზანი იქნება, მაგრამ ვიცი, ეს განსაკუთრებულად ძნელია. ბოლო წლებში „ლივერპულმა“ ჩემპიონთა ლიგაში და ქვეყნის თასზე იმარჯვა, პრემიერლიგაში კი ვერა და ფანებსაც პირველ რიგში ეს სურთ. ეროვნული ჩემპიონატები „სან პაულუსა“ და „ვალენსიას“ რიგებში მომიგია. ახლა მინდა, ეს აქ გავაკეთო“ — აღნიშნა აურელიომ.

რაფაელ ბენიტესი: „ჩვენ ვიცოდით, რომ „რეალს“ და „ბარსელონას“ ბრაზილიელი გარემარბები ჰყავთ, რომელთა სრულფასოვან შემცვლელებზე ფიქრობდნენ და აურელიო იდეალური კანდიდატი იყო. მას ბევრი კლუბი უტრიალებდა; საბედნიეროდ, ყველას ჩვენ ვაჯობეთ. იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია. ბურთს კარგად ფლობს, აწვდის, მშვენივრად ურტყამს და სახიფათოდ ასრულებს ჯარიმებს. მინდორზე ბევრს მუშაობს. სამხრეთამერიკელები ინგლისში ხშირად არ მოდიან, მაგრამ ფაბიო პრემიერლიგას არ შეუშინდა და მჯერა, აქ კარგი თამაშით ეროვნულ ნაკრებშიც დამკვიდრდება. რაც შეეხება პალეტას, იგი ძალიან პერსპექტიულია. თუ არგენტინელი ფეხბურთელი კარგია, ესე იგი, ის ძალიან კარგია. გაბრიელიც სწორედ ასეთია. ორივე მათგანი „ლივერპულს“ ძალიან გააძლიერებს“.

აქამდე მერსისაიდელებმა „ბლექბერნიდან“ უელსელი ფორვარდი კრეიგ ბელამი დაიმატეს. ხოლო ჩილელ გარემარბ მარკ გონსალესს, როგორც იქნა, მისცეს ინგლისში თამაშის უფლება და ბენიტესს უკვე მისი იმედიც აქვს. გარდა ამისა, „ენფილდის“ ბინადრები „ფეიენოორდის“ თავდამსხმელ დირკ კუიტსა და „აიაქსის“ ტუნისელ მცველ ჰატემ ტრაბელსის უმიზნებენ.

დიტმარ ჰამანი „ლივერპულიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ გადავიდა. კრის კირკლანდი „უიგანში“. წამსვლელია ჯიმი ტრაორეც, იგი ტრანსფერზეა დაყენებული. ჯიბრილ სისე კი „მარსელში“ გაანათხოვრეს და მომავალში ფრანგული კლუბი, ალბათ, მისი კონტრაქტის ბოლომდე გამოსყიდვას ეცდება.

„მან ორი მძიმე ტრავმა მიიღო და ახლა აჯობებს, საფრანგეთში ითამაშოს. იგი კარგი ბიჭი და მშვენიერი ფეხბურთელია, მაგრამ ამჟამად სხვა სტილის ფორვარდი მჭირდება. სისემ ბევრი მატჩი ჩაატარა და დაგვეხმარა კიდეც. მე არ ვარ ისეთი მწვრთნელი, ვინც წინამორბედის მოყვანილ ფეხბურთელებს არ იყენებს. უბრალოდ, თავად ჯიბრილისთვის ჯობს, მომავალ სეზონში ძირითად შემადგენლობაში მუდმივად ითამაშოს და ფორმა მალევე აღიდგინოს. მას წარმატებას ვუსურვებთ“ — დასძინა ბენიტესმა.

შეგახსენებთ, რომ „ოსერის“ ყოფილმა ფორვარდმა მუნდიალის დაწყებამდე ფეხი მოიტეხა, რის გამოც ჩემპიონატი გამოტოვა. ექიმების თქმით, 24 წლის ფეხბურთელი მინდორზე გასასვლელად ოქტომბერში იქნება მზად.

ჯიბრილ სისე: „მინდა, ახლავე ვთქვა, რომ „მარსელში“ კარიერის ხელახლა დასაწყებად არ ჩამოვსულვარ. აქ კლუბის დასახმარებლად და მისი ქომაგებისთვის ვარ, რომლებმაც დიდი სითბო მაგრძნობინეს. ყველაფერს გავაკეთებ, რათა წარმატებული სეზონი გვქონდეს. ბედნიერი ვარ, რომ „ველოდრომზე“ ვითამაშებ, სადაც ჩემი კუმირი ჟან-პიერ პაპენი ირჯებოდა. თანაც „მარსელი“ ერთადერთი ფრანგული კლუბია, რომელიც ჩემით დაინტერესდა. სხვებს უბრალოდ, მარსელელთათვის ხელის შეშლა სურდათ. „ლივერპულიდან“ ჩემი წამოსვლა კი გარდაუვალი იყო. ვგრძნობდი, რომ რაფაელ ბენიტესს არ ვჭირდებოდი“.

სისეს დამატებით გახარებულია „მარსელის“ პრეზიდენტი ჰაპე დიუფიც. მან ისიც აღნიშნა, რომ ფრანკ რიბერი კლუბში დარჩება. 23 წლის ნახევარმცველმა მუნდიალზე კარგად ითამაშა და მისით რამდენიმე გრანდი დაინტერესდა. მათ შორის „რეალი“, „არსენალი“ და „ლიონი“.

AFP

ჯიბრილ სისე

„ჯიბრილ „მარსელს“ ნამდვილად გააძლიერებს და მისი მოსვლა გვახარებს. მომავალი სეზონის დაწყებამდე შესაძლოა, კიდევ ერთი-ორი მოთამაშე დავიმატოთ. გაყიდვით კი ჯერჯერობით არავის გაყიდვა არ იგეგმება, სხვადასხვა ფეხბურთელებზე ბევრი წინადადება მივიღე, მაგრამ საინტერესო ერთიც არ ყოფილა. რაც შეეხება კონკრეტულად რიბერის, მასთან პრობლემა არ გვაქვს. კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს“ — თქვა დიუფმა.

გიორგი კაკაბაძე

შენ ხარ ლიდერი გასახდელში!

ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი „მიდლსბროდან“ „ჩარლტონში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. მას ბოროელებთან კონტრაქტი დაუმთავრდა და მწვრთნელმა გარეთ საუთგეიტმა ჰოლანდიელის დატოვება აღარ ისურვა.

34 წლის ფორვარდს გლაზგოური „სელტიკიც“ ეპატიჟებოდა, მაგრამ ჯამაგირზე ვერ შეთანხმდნენ.

ჰასელბაინკი „ჩარლტონის“ მეორე საზაფხულო შენაძენია. მანამდე „ლიდსისდან“ ნიჭიერი ყმაწვილკაცი საიმონ უოლტონი გადაიბირეს.

ჩარლტონელთა მწვრთნელმა იან დოუიმ განაცხადა: „ჯიმის ლიდერის თვისებები აქვს და გუნდს უნდა გაუძღვეს. იგი ლიდერია მოედანზეც და გასახდელშიც. ჰოლანდიის ნაკრებში უთამაშია და საერთოდ, კარიერაში ბევრი გოლი გაუტანია. ფეთქებადი ხასიათი აქვს, მაგრამ მუდამ იღიმება“.

ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი „მიდლსბროში“ ორი წლის წინ „ჩელსიდან“ გადავიდა და პირველ სეზონში 13 გოლი გაიტანა. მისი საუკეთესო წლები 1999-2001 იყო, როცა ჯერ მადრიდის „ატლეტიკოში“ 24 გოლი შეაგდო, ხოლო მომდევნო სეზონში „ჩელსიში“ აღმოჩნდა და იქ 23 მიითვალა.

„მიდლსბრომ“ კი „ლიონიდან“ 18 წლის ნახევარმცველი ეროლდ გულონი შეიძინა, რომელიც კლერფონტენის ცნობილი აკადემიის აღზრდილია და ბოროელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ვიმ რიისბერგენი და ლეო ბეენჰაკერი

ტრინიდადი ისევ ნარინჯისფერია

ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ვიმ რიისბერგენი ტრინიდადისა და ტობაგოს ეროვნული გუნდის მწვრთნელად დანიშნეს. 54 წლის რიისბერგენი მსოფლიოს ჩემპიონატზე ლეო ბეენჰაკერის თანაშემწე იყო, რომელიც, მოგეხსენებათ, პოლონეთის ნაკრების თავკაცი გახდა. ტრინიდადელთა ახალმა მწვრთნელმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ლეო ბეენჰაკერი კვლავაც ითანამშრომლებს კარიბელებთან და ყოფილ თანაშემწეს დაეხმარება, რიისბერგენს კი ორი ასისტენტი ეყოლება: ტრინიდადელი ანტონ კორნილი და ჰოლანდიელი იან ვან დეინსენი.

ვიმ რიისბერგენის დებიუტი 2 სექტემბერს შედგება, როდესაც კარიბელები ამხანაგურ მატჩს ითამაშებენ, ოღონდ მეტოქე ჯერ უცნობია.

ვაჟა ხუციშვილი

ლამმა ლამს აგინა და ლამის სიცილისგან გაიგუდა

გერმანიის ნაკრებმა მუნდიალზე მესამე ადგილი მოიპოვა. გულშემატკივრები კმაყოფილნი დარჩნენ — „ნაციონალმანშაფტის“ თამაშს ურიგო არ ეთქმოდა და ახალი ვარსკვლავებიც გამოჩნდნენ. პოდოლსკი, შვაინშტაიგერი და ლამი ლაზათიანი ბურთაობით ქომაგებს კიდევ დიდხანს გაახარებენ. ორიოდ დღის უკან „ბილდი“ ფილიპ ლამს გაესაუბრა. ახალგაზრდა ბავარიელი მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა გახლავთ.

AFP

— ჰერ ლამ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ ვთქვათ — ამ მუნდიალზე თქვენზე უკეთესად არც ერთ მარცხენა მცველს არ უთამაშია...

— აბა, რა გითხრათ. მე ჩემი სამუშაო კარგად გავაკეთე და კმაყოფილი ვარ. უფრო კარგი იქნება, მწვრთნელებმა, გულშემატკივრებმა და ჟურნალისტებმა რომ შემაფასონ.

— თქვენი სიმაღლე მეტრი და სამოცდაათია. ბურთისთვის ბრძოლაში ორმეტრიან გიგანტებს ერკინებოდით და იმარჯვებდით... მაღალი მეტოქის ძლევას როგორ ახერხებთ?

— ვცდილობ და როგორც ხედავთ, ეს საქმე არცთუ ურიგოდ გამომდის. ასე აღმზარდეს. „ბაიერნის“ ბავშვთა გუნდში რომ ვთამაშობდი, ხშირად ასაკით და სიმაღლით უფროს მეტოქეებთან დაპირისპირება მიწევდა. ისე, „ციცქნა“ ფეხბურთელებსაც აქვთ თავისი უპირატესობა.

— რას გულისმხობთ?

— პატარა ტანის მოთამაშეები უფრო სწრაფები, მოუხელთებლები და მობილურები არიან. საყრდენი წერტილი მე მაღალ ფეხბურთელებზე უფრო ქვემოთ მაქვს და მოედანზე პატარა მანძილზე უფრო სწრაფად სირბილი შემიძლია.

— ბურთი მარცხენა ფეხიდან ხშირად მარჯვენაზე გადაგქონდათ, ფლანგიდან ჩაწოდების მიზნით...

— მე ასეთი სტილით ვთამაშობ. ბურთის მარჯვენა ფეხზე გადატანა ჩემთვის უფრო ადვილია. მეტოქეს, იძულებით, შენი მოძრაობის გამეორება უწევს და ფლანგიდანაც იოლად აწოდებ.

— 120 წუთიც რომ ითამაშოთ, მაინც ისე გამოიყურებით, თითქოს ფეხბურთი ყველაზე ადვილი სამუშაოა დედამიწაზე...

— სამუშაოდან სიამოვნება უნდა მიიღო. საქმეს წაახდენ, თუ მარტო მოვალეობის მიზნით გამოდიხარ მოედანზე.

— იტალიასთან ნახევარფინალში თამაშისას უეცრად გადაიხარხარეთ მოედანზე...

— მაშინ კარში დავარტყი, ავაცილე და ჩემს თავს შევაგინე, რა ქენი მეთქი. მერე ამაზე გამეცინა...

— ტყუილად გაჯავრებულხართ, „ჩელსი“ და მადრიდის „რეალი“ არიან თქვენით დაინტერესებულნი.

— სადღეისოდ ეს ჩემთვის აქტუალური არ არის.

— დედათქვენმა განაცხადა, ვერ წარმომიდგენია, ფილიპმა მუნდიალის მერე სამშობლო რომ დატოვოსო. უცხოურ კლუბში გადასვლას ხომ არ გეგმავთ?

— წავიდოდი უცხოეთში, მაგრამ „ბაიერნშიც“ შესანიშნავად ვგრძნობ თავს. მიუნხენი ჩემი სამშობლოა. ერთი ბიჭია ჩვენთან, თუ იცნობთ, იენს ლემანი ჰქვია. ჰოდა, მანაც კარგა ხანს ითამაშა ბუნდესლიგაში, სანამ „არსენალისკენ“ აიღებდა გეზს.

— მომავალ სეზონს სად გაატარებთ?

— „ბაიერნში“.

— ასი პროცენტით ხართ ამაში დარწმუნებული?

— დიახ.

— და „რეალის“ ახალმა პრეზიდენტმა კალდერონმა ლამის ყიდვა რომ მოინდომოს?

— ამაზე ჯერ არ მიფიქრია.

— ანუ, თქვენი „ალიანს არენიდან“ წასვლის შანსი მაინც არსებობს...

— მე „ბაიერნში“ ვრჩები!

— „ნაციონალმანშაფტმა“ მთელი ქვეყანა გადარია — ბერლინში ნაკრების სასტუმროს წინ გოგონები დღე და ღამ იდგნენ და ფეხბურთელების წამიერი გამოჩენის დროსაც იქაურობას წივილ-კივილით იკლებდნენ. თქვენ თავს თინეიჯერთა ახალ კერპად თვლით?

— არ ვიცი, პოპ მუსიკის ვარსკვლავები რა ცხოვრებით ცხოვრობენ. თინეიჯერთა ყურადღება არ მსიამოვნებს-მეთქი რომ გითხრათ, მოგატყუებთ. ხალხს ვუყვარვარ, ესე იგი, ცუდად არ მითამაშია.

— როცა იტალიამ გოლი გაგიტანათ რა იგრძენით?

— იმ გრძნობას ვერ გადმოგცემთ. ნამდვილი შოკი იყო! სულ ათი წამის მერე ვიფიქრე, რომ ორი წუთი კიდევ გვქონდა დარჩენილი და ყველაფერი ჯერ დაკარგული არ გახლდათ.

— თუმცა იტალიამ მეორე გოლიც შეაგდო და...

— რა გაეწყობა, წელს ნახევარფინალს დავჯერდით. ოქროს მედლები 4 წლით გადაიდო.

AFP

კლინსმანი წავიდა, სკოლარი და პარეირა ფიქრობენ

მიდიხარ თუ მოდიხარ?

გერმანიის ნაკრებისთვის ბრინჯაოს მედლების მომტანმა კლინსმანმა ეროვნული გუნდის მწვრთნელობაზე უარი განაცხადა. ასევე ნაკრებიდან წავიდა მარჩელო ლიპიც — მსოფლიოს ჩემპიონთა ელეგანტური სიგარიანი კაცი მომავალი სეზონიდან ეგებ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი გახდეს. აქ მუნდიალზე ნაომარ დამრიგებელთა ჩამონათვალს გთავაზობთ. ზოგმა თანამდებობა დატოვა, ზოგი ისევ ნაკრებში რჩება და ზოგის სამომავლო გეგმებიც ჯერჯერობით გაურკვეველია.

რჩებიან: ლუის ოლივეირა გონსალვეში (ანგოლა), მარკუს პაკეტა (საუდის არაბეთი), ზლატკო კრანჩარი (ხორვატია), ლუის არაგონესი (ესპანეთი), რაიმონ დომენეკი (საფრანგეთი), მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია), კარელ ბრიუკნერი (ჩეხეთი), კობი კუნი (შვეიცარია), როჟე ლემერი (ტუნისი) და ოლეგ ბლოხინი (უკრაინა).

წავიდნენ: იურგენ კლინსმანი (გერმანია), მის მაგივრად ასისტენტი იოახიმ ლიოვი იმუშავებს; სვენ გორან ერიკსონი (ინგლისი, შემცვლელი სტივ მაკლარენი), ხოსე პეკერმანი (არგენტინა), გუუს ჰიდინკი (ავსტრალია), დიკ ადვოკაატი (სამხრეთ კორეა, შემცვლელი პიმ ვერბეეკი), ალეშანდრე გიმარაეში (კოსტა რიკა), ანრი მიშელი (კოტ დივუარი), ბრანკო ივანკოვიჩი (ირანი), მარჩელო ლიპი (იტალია), ზიკო (იაპონია), რიკარდო ლა ვოლპე (მექსიკა), პაველ იანაში (პოლონეთი, შემცვლელი ლეო ბენჰაკერი), ილია პეტკოვიჩი (სერბეთი).

ნაკრებებთან კონტრაქტის გახანგრძლივების ამბავი 8 მწვრთნელს ვერ გადაუწყვეტია: კარლოს ალბერტო პარეირა (ბრაზილია), ლუის ფერნანდო სუარესი (ეკვადორი), ბრიუს არენა (აშშ), რადომირ დუიკოვიჩი (განა), ლუიშ ფელიპე სკოლარი (პორტუგალია), ლარს ლაგერბაკი (შვედეთი) და ოტო პფისტერი (ტოგო).

ლადო ხომერიკი

ესპანურ მარკას რუუდი ელანდება

„რეალში“ რამონ კალდერონის დირექტორატის მიერ განხორციელებული პირველი ტრანსფერი ალბათ ჰოლანდიელი რუუდ ვან ნისტელროის შეძენა იქნება. როგორც „მარკა“ გვამცნობს, „სანტიაგო ბერნაბეუს“ გრანდის წარმომადგენლებსა და „მანჩესტერის“ თავდამსხმელს შორის შეთანხმება უკვე გაფორმებულია და საქმის დაგვირგვინებას მხოლოდ ნისტელროის ამჟამინდელი კლუბის თანხმობა უნდა.

შეგახსენებთ, რომ „ოლდ ტრეფორდის“ მეგოლის შეძენით მიუნხენის „ბაიერნიც“ იყო დაინტერესებული, თუმცა ესპანური მედიის მტკიცებით, თავად ნისტელროის კარიერის გაგრძელება „რეალში“ სურს.

„მანჩესტერი“ კი ესპანელებს ჰოლანდიელს 15 მილიონ ევროდ უფასებს. „რუუდ ვან ნისტელროისთან საქმე უკვე მოვაგვარეთ. გარიგება „იუნაიტედთანაც“ წარმატებით მიმდინარეობას“ — უთხრა „მარკას“ მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა.

სენიორ კალდერონი სამეფო თეთრების თავკაცად 2 ივლისს ჩატარებული არჩევნების შემდეგ აირჩიეს. ახალმა პრეზიდენტმა კლუბის მწვრთნელად ფაბიო კაპელო, ხოლო სპორტულ დირექტორად ახლო წარსულში „რეალის“ ცნობილი ფეხბურთელი პრედრაგ მიატოვიჩი დანიშნა. ნისტელროის გარდა რამონ კალდერონს სამომავლოსეზონოდ კაკას, ემერსონისა და ფაბიო კანავაროს შეძენა სურს.

ლადო ხომერიკი

AFP

ფეხბურთის რუკასთან

ჰოლანდიური „ფეიენოორდის“ ნახევარმცველი პატრიკ პა�უე ფრანგულ „ვალანსიენში“ გადავიდა. 30 წლის ფეხბურთელმა კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. პაუუემ რვა სეზონი გაატარა როტერდამულ გუნდში, ახლა კი საფრანგეთში მოსინჯავს ძალას. შეგახსენებთ, რომ „ვალანსიენი“ გასულ სეზონში მეორე დივიზიონიდან პირველში აღზევდა.

გერმანულმა „არმინიამ“ დანიის „ბრონდბიუდან“ 23 წლის იონას კამპერი გადაიბირა და სამწლიან გარიგებაზე დაითანხმა. ტრანსფერის ფინანსური მხარე უცნობია. კამპერი მარჯვენა მცველად ითამაშებს, სადაც პატრიკ ოვომოიელა იყო, სანამ „ვერდერში“ გადავიდოდა. დანიელამდე „არმინიას“ მაისურები მოირგეს: ტორბენ მარქსმა, მარსელ ნდიენგმა, მარკუს ბოლმანმა, აბდელაზიზ აჰანფუფმა, კრისტიან იგლერმა და მარკ ციგლერმა.

ბერძნულმა „პანიონოსმა“ ვეტერანი სლოვაკი მეკარე მიროსლავ კონიგი შეიძინა. 34 წლის მეკარეს ნაკრებში 44-ჯერ უთამაშია, საკლუბო კარიერაშიკი „პანიონიოსი“ მისთვის მე-10 გუნდი იქნება. მანამდე კონიგმა თურქეთი და შვეიცარია მოიარა.

გერმანული „დორტმუნდის“ ფორვარდი სედრიკ ვან დერ გუნი „უტრეხტში“ გადავიდა. ვან დერ გუნი თავისუფალი აგენტი იყო და უტრეხტელებს მასში ფული არ გადაუხდიათ. ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ინგლისურმა „ფულემმა“ შვედური „ჰამარბის“ მეგოლე ბიორნ რუნსტრომი იყიდა. შვედეთის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ლონდონურმა კლუბმა სამი წლით დაიბეგა. რუნსტრიომს „ფიორენტინაში“, „კიევოსა“ და „ბოლონიაშიც“ უთამაშია.

ბერძნულმა „იონიკოსმა“, ბრაზილიური „რიო პრეტოდან“ 30 წლის მცველი ფერნანდო პიკონი წაიყვანა და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. „რიო პრეტო“ მეორე დივიზიონის გუნდია, პიკონს კი თავის დროზე „კორინთიანსში“ და „სან პაულუში“ უთამაშია.

ინგლისურმა „უოტფორდმა“, რომელიც პრემიერლიგაში აღზევდა, „უიგანის“ ტრინიდადელი ნახევარმცველი დემიენ ფრუნსისი შეიძინა. 27 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და უოტფორდელებს ტრანსფერი მილიონ ნახევარი გირვანქა დაუჯდათ.

გერმანულმა „ჰანოვერმა“ სლოვაკურ „რუჟომბეროკს“ ნიჭიერი ფორვარდი ერიკ იენდრისეკი დასცინცლა. 19 წლის იენდრისეკმა გასულ სეზონში 21 გოლი გაიტანა და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. „ჰანოვერიდან“ კი ნახევარმცველი რიკარდო სოუზა წავიდა. პორტუგალიელი ფეხბურთელი „ბავიშტას“ დაუბრუნდა.

დი კანიო C2



იტალიური პრესის ცნობით, პაოლო დი კანიო მომავალ სეზონში სერია C2-ში ითამაშებს. ექსცენტრიული ვეტერანი შემტევი ნახევარმცველი პატარა კლუბ „ჩისკო რომას“ წინადადებას დაყაბულდა და კონტრაქტზე ხელის მოწერაღა რჩება. კონტრაქტი კი ერთწლიანია, კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით.

დი კანიოს „ლაციოსთან“ კონტრაქტი გასული სეზონის ბოლოს დაუმთავრდა და დედაქალაქელებმა მისი განახლება არ ისურვეს. ამბობდნენ, 38 წლის ფეხბურთელი სათამაშო კარიერის დასრულებას და მწვრთნელის ლიცენზიის აღებას აპირებსო, მაგრამ ახლა შესაძლოა, სხვაგვარად მოხდეს.

სერია A-ში დი კანიომ 245 შეხვედრაში 33 გოლი გაიტანა. მისი დებიუტი 1988 წელს „ლაციოს“ რიგებში შედგა. ფაშისტური გამოხდომებით ცნობილ ფეხბურთელს ასევე წარმატებით უთამაშია „იუვენტუსში“, „ნაპოლიში“, „მილანში“, „სელტიკში“, „შეფილდ უენსდიში“, „ვესტ ჰემსა“ და „ჩარლტონში“.

საინტერესოა, რომ სერია C2-ში ის აქამდეც თამაშობდა. 1986-87 წლების სეზონში „ტერნანას“ რიგებში 27 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი შეაგდო.

კოკი კანდელაკი

შერერი ინტერში

ფაბიო გროსო

AFP

მილანის „ინტერმა“ სამი ფეხბურთელი დაიმატა. ოლივიე დაკურის, მაიკონ დუგლას სისენანდოსი და მაქსველ შერერ კაბელინო ანდრადეს „ნერო აძურაში“ გადასვლაზე დიდი ხანია, საუბრობდნენ. ახლა კი ტრანსფერები ოფიციალურად გაფორმდა. აქვე ვთქვათ, რომ ცოტა ხნის წინ „ინტერმა“ ალვარო რეკობასთან კონტრაქტი გაახანგრძლივა, მაგრამ რამდენ წელზე და რა ჯამაგირზე შეთანხმდნენ მხარეები, ჯერ უცნობია.

დაკური „ნერო აძურიში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. 32 წლის ფრანგს „რომასთან“ კონტრაქტი გასულ თვეში დაუმთავრდა. იგი „ინტერში“ მომავალ ორ სეზონს გაატარებს. დაკურს აქამდე „სტრასბურში“, „ევერტონში“, „ლანსსა“ და „ლიდსშიც“ უთამაშია.

ბრაზილიელმა მაიკონმა „ინტერს“ თავი „მონაკოში“ თამაშით მოაწონა. მარჯვენა გარემარბის „სან სიროზე“ გადასვლა იანვარში გადაწყდა. მან კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გაფორმა.

მაიკონის თანამემამულე მაქსველი ევროპულ ფეხბურთში, „კრუზეიროდან“ „აიაქსში“ გადასვლის შემდეგ შემოიჭრა. იგი „ინტერში“ გადასასვლელად ასევე იანვრიდან ემზადებოდა და ექვსი თვე „ემპოლში“ გაატარა, რათა სერია A-ს შეგუებოდა, მაგრამ ტრავმების გამო ბევრი არ უთამაშია.

ვახსენოთ ისიც, რომ „ინტერი“ მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენით, ფაბიო გროსოთიც გაძლიერდა. პალერმოელის „ნერო აძურიში“ გადასვლა მუნდიალამდე იყო გადაწყვეტილი. მილანელთა მფლობელი მასიმო მორატი ლუკა ტონის ხელში ჩაგდების იმედსაც არ კარგავს.

„გაგვიმართლა, რომ გროსოს დამატება შევძელით. კიდევ კარგი, ეს მუნდიალამდე იყო გადაწყვეტილი, თორემ ახლა ძალიან გაგვიჭირდებოდა. იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია მებრძოლი სულით. რაც შეეხება ტონის, მოლაპარაკება მიმდინარეობს და არაფერს გამოვრიცხავ“ — თქვა მორატიმ.

კოკი კანდელაკი

პალერმომ სამპდორიას დიანას ხელი სთხოვა

იტალიურმა „პალერმომ“ „სამპდორიადან“ აიმო დიანა დაიმატა და უახლოეს დღეებში ალბათ მარკ ბრეშიანოსაც ჩაიგდებს ხელში. დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

„თითქმის ყველაფერი შეთანხმებულია, უმნიშვნელო დეტალები და კონტრაქტზე ხელის მოწერაღა დარჩა. თუმცა შეგიძლიათ, დიანა უკვე „პალერმოს“ ფეხბურთელად ჩათვალოთ“ — თქვა გენუელთა გენერალურმა დირექტორმა ბეპე მაროტამ.

„დიანა ბრწყინვალე შენაძენია და გუნდს გააძლიერებს. ძირითადად ნიჭიერი ახალგაზრდები გვეყოლება და რამდენიმე გამოცდილი მოთამაშეც გვჭირდება. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის და კმაყოფილი ვარ. ახლა ბრეშიანოს დაველოდებით“ — ეს კი სიცილიელთა მთავარი მწვრთნელის ფრანჩესკო გვიდოლინის სიტყვებია.

28 წლის დიანა აქამდე „ბრეშაში“, „ვერონაში“, „პარმასა“ და „რეჯინაში“ თამაშობდა. ბოლო სამი წელი კი „სამპდორიაში“ გაატარა. „სკუადრა აძურას“ რიგებში 12-ჯერ ითამაშა და 1 გოლიც გაიტანა. მას ნახევარმცველის გარდა დაცვაშიც შეუძლია თამაში და არც შეტევებზე ამბობს უარს.

ბრეშიანომ კი მუნდიალზე კარგად ითამაშა და „პარმა“ ცდილობს, მასში მაქსიმალური ფინანსური სარგებელი ნახოს. 26 წლის ნახევარმცველი „ენიო ტარდინიზე“ 2002 წელს „ემპოლიდან“, ავსტრალიელი ფეხბურთელისთვის სარეკორდო თანხად, 4,8 მილიონ გირვანქად გადავიდა.

კოკი კანდელაკი



რობერტო დონადონი

დონადონი მარტო არ არის

იტალიის ფეხბურთის ფედერაციას ჯერ არ გადაუწყვეტია, ვის დანიშნავს ნაკრების მთავარ მწვრთნელად. მსოფლიოს ჩემპიონი ლიპი ფინალიდან მესამე დღეს გადადგა და მის შემცვლელს ეძებენ.

„მილანისა“ და იტალიის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ რობერტო დონადონიზე ამბობენ, ყველაზე მეტი შანსი აქვსო, მაგრამ ფედერაციის ჩინოვნიკმა დემეტრიო ალბერტინიმ განაცხადა: „მალე გაირკვევა, თუ ვინ იქნება ნაკრების ახალი მწვრთნელი. ოფიციალურად მოლაპარაკებას ჯერ არავისთან არ ვაწარმოებთ. ცოტა გვაცალეთ და ყველაფერი მოგვარდება. რაც შეეხება დონადონის, იგი ერთ-ერთი კანდიდატია და არა ერთადერთი.“

რობერტო დონადონიმ იტალიის ნაკრების შემადგენლობაში 1990 და 1994 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე ითამაშა. გასულ სეზონში „ლივორნოს“ თავკაცობდა და საკმაოდ კარგი გუნდიც შექმნა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა ამაგი არ დაუფასა და მოხსნა.

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		სლოვაკეთი						
		15 ივლისი						
20:00	15	ბ.ბისტრიცა-ჟილინა	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38
20:00	16	დუბნიცა-ინტერი	1.80	3.30	3.65	1.16	1.20	1.73
20:00	17	კოშიცე-პეტრჟალკა	2.35	3.10	2.65	1.33	1.24	1.42
20:00	18	რუჟომბეროკი-ტრნავა	1.70	3.40	4.10	1.13	1.20	1.85
20:00	19	სლოვანი-ტრენჩინი	1.70	3.40	4.10	1.13	1.20	1.85
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		16 ივლისი						
20:00	21	ოდ გრენლანდი-სტარტი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
20:00	22	რუსენბორგი-ფრედრიკსტადი	1.50	3.90	6.00	1.08	1.20	2.36
20:00	23	სანდეფიორდი-მოლდე	2.45	3.30	2.60	1.40	1.26	1.45
20:00	24	სტაბეკი-ჰამარი	1.95	3.30	3.55	1.22	1.25	1.71
22:00	25	ტრომსიო-ვოლერენგა	2.65	3.30	2.45	1.46	1.27	1.40
		17 ივლისი						
21:00	26	ბრანი-ვიკინგი	1.85	3.40	3.80	1.19	1.24	1.79
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		16 ივლისი						
20:00	27	ბრინი-მოსი	1.65	3.70	4.20	1.14	1.18	1.96
20:00	28	ფოლო-ჰიოდი	1.75	3.70	3.65	1.18	1.18	1.83
20:00	29	ჰაუგესუნდი-ჰიონეფოსი	2.05	3.40	3.10	1.27	1.23	1.62
20:00	30	კონსვინგერი-ალესუნდი	2.90	3.30	2.20	1.54	1.25	1.32
20:00	31	მანგლერუდი-ლოვ ჰამი	2.20	3.50	2.70	1.35	1.21	1.52
20:00	32	ჰორს გრენლანდ-ტრომსდალენი	2.00	3.70	3.10	1.29	1.21	1.68
20:00	33	სტრიომსგოდსეტი-სპარტა	1.35	4.50	7.50	1.03	1.14	2.81
20:00	34	ბოდიო გლიმტი-სოგნდალი	1.95	3.40	3.30	1.23	1.22	1.67
		შვედეთი. ალსვენსკა						
		15 ივლისი						
18:00	35	მალმიო-აიკ	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
		16 ივლისი						
19:00	36	იურგორდენი-ელფსბორგი	1.85	3.40	3.70	1.19	1.23	1.77
20:00	37	ჰალმსტადი-გიოტებორგი	2.35	3.30	2.75	1.37	1.26	1.50
		17 ივლისი						
21:00	38	ჰამარბი-იოსტერსი	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
22:00	39	ჰელსინგბორგი-ჰეკენი	1.55	3.70	5.50	1.09	1.20	2.21

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფინეთი						
		16 ივლისი						
19:30	51	კუოპიო-ლაჰტი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
20:00	53	ჰონკა-ინტერი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
		ირლანდია						
		14 ივლისი						
22:45	54	კორკი-ბრეი	1.25	4.50	9.50	1.00	1.10	3.05
22:45	55	დერი-ლონგფორდი	1.50	3.50	5.70	1.04	1.18	2.16
22:45	56	დუბლინი-შელბურნი	4.10	3.20	1.75	1.79	1.22	1.13
22:45	57	სტ.პატრიკსი-ბოჰემიანი	2.00	3.10	3.20	1.21	1.23	1.57
22:45	58	დუბლინი-დროგედა	3.10	3.00	2.10	1.52	1.25	1.23
22:45	59	უოტერფორდი-სლიგო	3.20	3.00	2.10	1.54	1.26	1.23
		აშშ						
		14 ივლისი						
23:45	61	ნიუ ინგლენდი-სოლტ ლეიკი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
		15 ივლისი						
23:45	62	ჩიკაგო-დალასი	2.25	3.00	2.80	1.28	1.24	1.44
23:45	63	ნიუ იორკი-კოლორადო	2.30	3.10	2.70	1.32	1.24	1.44
23:45	64	ვაშინგტონი-კოლამბუსი	1.45	3.60	6.00	1.03	1.16	2.25
23:45	65	კანზასი-ჰიუსტონი	2.35	3.10	2.70	1.33	1.25	1.44
23:45	66	ჩივასი-ლოს ანჯელესი	2.25	3.00	2.80	1.28	1.24	1.44
		ინტერტოტოს თასი						
		15 ივლისი						
18:00	136	კალმარი-ტვენტე	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
20:00	137	მაკაბი ფთ-ეთნიკოსი	1.35	4.00	6.50	1.00	1.11	2.47
20:00	138	ნიუკასლი-ლილესტრიომი	1.27	4.60	7.50	1.00	1.08	2.85
20:00	139	ოდენსე-ჰიბერნიანი	2.00	3.00	3.30	1.20	1.24	1.57
21:00	140	გრასჰოპერი-გენტი	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70
21:00	141	რიდი-ტირასპოლი	1.35	3.90	7.00	1.00	1.13	2.50
22:45	142	ლარისა-კაისერი	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
22:45	143	მარსელი-დნიპრო	1.40	3.80	6.50	1.02	1.15	2.39
23:00	144	ოსერი-ფარული	1.35	4.30	6.50	1.02	1.11	2.58
23:45	145	ვილიარეალი-მარიბორი	1.18	5.20	8.20	1.00	1.03	3.18
		16 ივლისი						
17:00	146	ჰერტა-მოსკოვი	1.40	3.90	6.10	1.03	1.13	2.37

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – ალმაშენებლის №39; გარდაბანი – ალმაშენებლის №12

ფორმულა 1. 9 ივნისი

13:00	1001	გამარჯვებული	რ შუმახერი	60.00
13:00	1001	გამარჯვებული	ალონსო	1.70
13:00	1001	გამარჯვებული	მასა	15.00
13:00	1001	გამარჯვებული	მ შუმახერი	2.40
13:00	1001	გამარჯვებული	კულტხარდი	90.00
13:00	1001	გამარჯვებული	მონტეირო	90.00
13:00	1001	გამარჯვებული	სპიდი	90.00
13:00	1001	გამარჯვებული	მონტანი	90.00
13:00	1001	გამარჯვებული	ბარიკელო	45.00
13:00	1001	გამარჯვებული	საგო	90.00
13:00	1001	გამარჯვებული	ლიუცი	90.00
13:00	1001	გამარჯვებული	რაიკონენი	6.50
13:00	1001	გამარჯვებული	ბილნევი	90.00
13:00	1001	გამარჯვებული	ფიზიკელა	9.00
13:00	1001	გამარჯვებული	როსბერგი	80.00
13:00	1001	გამარჯვებული	უებერი	70.00
13:00	1001	გამარჯვებული	ხაიდფელდი	70.00
13:00	1001	გამარჯვებული	ტრული	60.00
13:00	1001	გამარჯვებული	ბატონი	40.00
13:00	1001	გამარჯვებული	მონტოია	20.00
13:00	1001	გამარჯვებული	ალბერსი	90.00
13:00	1001	გამარჯვებული	კლიენი	90.00

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



ვარაზ დოლელაძეს ფოტო

აბა, ეგრე ვინ გაფრენილა?!

წყალბურთელთა ევროპის ახალგაზრდული პირველობის ფინალურ ეტაპზე გამოსვლის უფლება, თავიანთ ქუეჯგუფში წარმატების მერე, მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრებმაც მოიპოვა. გადამწყვეტი შეხვედრების დაწყებამდე ათიოდე დღეა დარჩა. იმის თაობაზე, თუ როგორ ემზადებიან ჩვენი წყალბურთელები ამ შეხვედრებისთვის, გუნდის უფროს მწვრთნელ სოსო მაისურაძეს ვესაუბრეთ

ვარაზ დოლელაძეს ფოტო

— პირველ ეტაპზე, ქვეჯგუფში, ვინ იქნებიან ჩვენი მეტოქენი და რა შანსები გვაქვს მათთან შეხვედრებში?

— ჩვენ ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. დიდი ბრძოლები გველის ფრანგებთან, რუმინელებთან და უნგრელებთან. სამივე ჩვენი მეტოქე შარშანდელი ფინალისტია. მთვან, ფრანგებმა შარშან მერვე ადგილი დაიკავეს, რუმინელებმა — მესამე, ხოლო უნგრელები ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ. ამასთან, ახლა უნგრელები მასპინძლებიც არიან. უშუალოდ ამ გუნდების სიძლიერე საკუთარ თავზე აქამდე არ გამოგვიცდია, რადგან ჩვენი გზები არასოდეს გადაკვეთილა.

— წუხდით და ჩვენც არაერთხელ ვწერდით, რომ მიმდინარე სეზონში მხოლოდ 25-მეტრიან აუზში ვარჯიშობდით, რაც წყალბურთის სარბიელის სტანდარტულ ზომებს ჩამოუვარდება, „ლაგუნა ვერეს“ საწყლოსნო კომპლექსში გადასვლა კი არა და არ გეღირსათ. არადა, უნგრეთში ღია აუზში მოგიწევთ ბრძოლები.

— ამ ცოტა ხნის წინათ, როგორც იქნა, ესეც გვეღირსა, მაგრამ ისე გამოვიდა, ვაის გავეყარე და უის შევეყარეო. ღია აუზში გადასვლა და ავდარი ერთი იყო. ამის გამო 50-მეტრიანი აუზი ვერა და ვერ გათბა. ცივ წყალში ვარჯიშით ორი წყალბურთელი გაგვიცივდა და იძულებულნი გავხდით, იქვე,წყალში მხტომელთა აუზში გადავსულიყავით, რომლის ზომებიც ასევე მცირეა. ახლა კვლავ გამოიდარა და იქნებ ის დიდი აუზი მზემ ცოტა გაათბოს, რომ რამდენიმე ვარჯიში მაინც სათანადოდ ჩავატაროთ. ამასთან, აქ მხოლოდ დილაობით გვიშვებენ აუზში და ამიტომ ორჯერადი ვარჯიშები არ გამოგვდის, ასე კი ევროპის პირველობაზე კი არა, იქ მოხვედრაზეც არ ოცნებობენ. შერეკილებს ვემსგავსებით — ფრთები არ გვაქვს, გაფრენა კი გვინდა. ასეთ პირობებში რაც მოვახერხეთ, ესეც საკვირველია. ჩვენთვის პრობლემაა რაიმე ტურნირში გამოსვლაც, სადაც ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სტანდარტული ზომის აუზში მაინც მოგვიწევდა თამაში. ვერც თბილისში მოვახერხეთ სპარინგპარტნიორად ვინმეს ჩამოყვანა, რადგან ჩვენს პირობებში სტუმრობა არავის უნდა. ერთი სიტყვით, უკრაინის ჩემპიონატი, სადაც ერთი თვის წინათ დავასრულეთ ბრძოლები, ერთადერთი იყო, სადაც საევროპოდ ნორმალურად ვემზადებოდით. ბედად, თბილისში სამი ჩვენი ლეგიონერი, გალაქტიონ ლაითიძე, პავლე ჯაფარიძე და კოტე გეგელაშვილი ჩამოვიდნენ. ისინი ერთ გუნდში გავამწესეთ და ჩვენს ძირითად შემადგენლობას მასთან ვათამაშებთ.

— ასეა თუ ისე, ბიჭები თუ მაინც არიან ჯანზე?

— ორი წყალბურთელი იმ ცივ წყალში რომ გაგვიცივდა, გითხარით, კიდევ ორი კი, ბექა ქენქაძე და გიორგი სტურუა უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში დაშავდნენ და ტრავმები ჯერ კიდევ ბოლომდე არ მოშუშებიათ.

— შარშანდელ უკრაინის ღია ჩემპიონატში ჩვენი გუნდი ვერცხლის მედლებს დაეუფლა, ევროპის პირველობისთვის შესარჩევი ჯგუფიდან კი ვერ გავიდა. ახლა პირიქით — უკრაინის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე ჩამოვქვეითდით, სამაგიეროდ, ევროპის პირველობაზე გამოსვლის ულფება მოვიპოვეთ. ეტყობა, ორ ფრონტზე ბრძოლას ვერ ვუმკლავდებით.

— უკრაინის ჩემპიონატში ახლაც შეგვეძლო მედლების მოპოვება, მაგრამ, რაკი ევროპის პირველობისთვის საგზურის დაუფლებას ვცდილობდით, აქცენტი, ძირითადად, იმ ახალგაზრდებზე გადავიტანეთ, რომლებიც საევროპოდ შესაბამისი ასაკისანი იყვნენ, ლეგიონერთა დახმარებაზე კი ნაკლებად ვფიქრობდით. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, უკრაინის ჩემპიონატს უმეტესობა ნაღდად არ დავასრულებდით, ევროპულ სარბიელზე მოხვედრა კი სათუო გაგვიხდებოდა. საბედნიეროდ, გუნდში გვყავს ისეთი ლეგიონერებიც, რომლებსაც ასაკით ევროპის ამ ახალგაზრდულ პირველობაზე უწევთ გამოსვლა. ესენი არიან მოსკოვში მოთამაშენი: დინამოელი მიხეილ ბაღათურია, მაიაკელი გიორგი ხვედელიძე და ცსკ-ს წევრი ზურაბ რურუა, რომლებიც ჩვენი გუნდისთვის დიდ ძალას წარმოადგენენ.

ავთანდილ ბუკიშელი

სად არის უნგრულ წყალში ჩასაყრელი ფული

უნგრეთში გასამართი მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც უშუალოდ ამ სახეობის გარდა სინქრონულ ცურვას, წყალში ხტომასა და წყალბურთსაც მოიცავს, ჩვენი სპორტსმენების გარეშე ჩაივლის. ასე გადაწყვიტეს საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციაში, სადაც, ეტყობა, ამ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის დასახარჯი თანხა წყალში გადაყრად მიიჩნიეს, მით უმეტეს, რომ უნგრეთის ვიზები უკრაინაშია ასაღები, რაც დამატებით ხარჯებს მოითხოვს.

მართლაც, ჩემპიონატში ბოლო ადგილების დასაკავებლად ხარჯების გაწევა ეტყობა, არ ღირს, მით უმეტეს, როცა ამ ეტაპზე ამგვარი შეჯიბრება არც ოლიმპიურ ლიცენზიებს იძლევა.

ასე რომ, ჩვენს ახალგაზრდა საწყლოსნო სახეობათა წარმომადგენლებს ისევ თანატოლებთან შეჯიბრებებში ბედის ცდა მოუწევთ, იმის იმედით, რომ ოდესმე მათთვის დიდი აუზების კარიც გაიღება.

ავთანდილ ბუკიშელი

შავი ზღვა, თეთრი ფენიქსი

იოკოძუნა ასასიორუ, ოძეკი ტოჩიაძუმა და დასავლეთის მეთხუთმეტე მაეგაშირა ტოჩინოხანა იმპერატორის თასისკენ ჯიქურ მიიწევენ. სეზონის მეოთხე დიდი ბაშოს მესამედი უკან დარჩა და ამ სამეულის წამქცევი ჯერ არავინ გამოჩენილა.

გუშინ ასასიორუმ მონღოლური პროფესიული სუმოს გზის მკვლევი, ტექნიკის უნივერმალად მონათლული 33 წლის ექსკომუსუბი კიოკუსუძანი დასცა. ტოჩიაძუმამ დასავლეთის პირველ მაეგაშირას, 22 წლის კოტოსიოგინკუს აუღო რევანში მაისის ბაშოზე მარცხისთვის, ტოჩინოხანას მეხუთე მსხვერპლი კი უმაღლეს დივიზიონ მაკუტის დებიუტანტი ხომასიო გახდა. წაუგებელი ტრიოდან ყველაზე მოულოდნელი ტოჩინოხანას ყოჩაღობაა. ამ რიგით მაეგაშირას წლეულს ჩატარებული სამი ბაშოდან არც ერთზე დადებითი ბალანსი, კატიკოსი არ უჩვენებია. ახლა კი საამისოდ სამი ქულაც ეყოფა დარჩენილ ათ ტურში. თუმცა რა სამი, კაცი იმპერატორის თასზე ფიქრობს.

მეხუთე ტურამდე წაუქცეველ ტიოტაიკაის კი გუშინდელი დღე დასავლეთის მესამე მაეგაშირამ კაკიოემ ჩაუმწარა. იმპერატორის თასის სამგზის ამწევი ოძეკი მეტოქის კონტრილეთზე წამოეგო და ლიდერების მდევართა ამქარში გადაინაცვლა.

ამქარში შვიდი ქონკაცია — ოძეკები: ტიოტაიკაი, კაიო და ხაკუხო და რიგითი მაეგაშირები: ბალტი, ტოკიტენკუ, ტამანოსიმა და ტამაკასუგა. გუშინდლამდე თითმარცხიანებში ჩვენებური ლევან ცაგურიაც ერია, მაგრამ ტოკიტენკუს ვერაფერი მოუხერხა და ორქულიანი დადებითი ბალანსი მინიმუმამდე შეუცმირდა.

დღეს „შავი ზღვა“ კარგად ნაცნობ მეტოქეს, რუს როხოს შეეჭიდება. ხუთი ტურის შემდეგ „რუსული ფენიქსის“ ანგარიშზეც სამი ქულაა. გუშინ მან ექსოძეკი დეძიმა დაამარცხა. კოკაი და როხო ოფიციალურ ბაშოებზე აქამდე ხუთჯერ დამდგარან ერთმანეთის პირისპირ და ჩვენებურს მხოლოდ ორჯერ უმარჯვია.

ივლისის ბაშო ნაადრევად დასრულდა დასავლეთის მეექვსე მაეგაშირა ვაკანოსატოსთვის. ტურნირის სამი ეფექტური მოგებით დამწყებმა დეკაცმა გუშინწინ მარჯვენა მუხლი იტკინა და ხალიჩაზე ასვლა ვეღარ შეძლო. მედიკოსთა მტკიცებით, ვაკანოსატოს მინიმუმ ორი თვე გაუცდება. სპეციალისტთა აზრით კი, რომ არა ამ ბაშოზე აღებული სამი ქულა, ცენტრნერნახევრიან დეკაცს შემდგომ დიდ ბაშოზე მეორე დივიზიონში მოუწევდა ჭიდაობა.

ოთარ ბაღლაკელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს გადასახედი

მოჭიდავეები საშემოდგომო გუნდის შენებას იწყებენ

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

ზაზა თურმანიძე

შაბათ-კვირას სპორტის სასახლეში ორი საჭიდაო ხალიჩა გაიშლება და ერთმანეთის პარალელურად ორი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდება. თავისუფალი სტილით მოჭიდავენი ვახტანგ ბალავაძის თასს გაითამაშებენ, ბერძენ-რომაელები — გივი კარტოზიას თასს. თბილისში ათამდე ნაკრები ჩამოვა. წინასწარი ინფორმაციით, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების რამდენიმე ჩემპიონ-პრიზიორი სტუმარიც გვეყოლება. საქართველოს ნაკრები კი გაფართოებული შემადგენლობით იჭიდავებს. ეს ტურნირები შემოდგომაზე ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპად მიიჩნევა და ძირითადი გუნდის წევრებს თავიდან მოუწევთ შიდა კონკურენციის გავლა. ბალავაძე-კარტოზიას სამზადისზე გუშინ თავისუფალთა და ბერძენ-რომაელთა ნაკრებების მთავარ მწვრთნელებს გავესაუბრეთ

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

ბეგი დარჩია

ზაზა თურმანიძე:

— მასპინძლებისთვის მონაწილეთა რაოდენობაზე შეზღუდვა არ არსებობს და ეს ძალიან კარგ სამსახურს გაგვიწევს. ნაკრების ყველა კანდიდატს მიეცემა თავისი ძალის დამტკიცების შესაძლებლობა.

— სულ რამდენი მოჭიდავის დაყენებას აპირებთ?

— ზუსტ რიცხვს ჯერ ვერ გეტყვით. წინასწარი გეგმით, 42 კაცს უნდა ეჭიდავა, მაგრამ ალბათ ცოტა მეტს გამოვცდით. სავარაუდოდ, 50-მდე.

— ნაკრების ლიდერებიც იჭიდავებენ?

— ტურნირის წინ ნაკრების წევრები ძირითადად ინდივიდუალურად ვარჯიშობენ. როგორც ვიცი, ყველა აპირებს ხალიჩაზე გასვლას. ჯერ არც ერთს არ უთქვამს ოფიციალურად, ამა და ამ მიზეზის გამო ვერ ვიჭიდავებო. ჯანმს მხრივაც ნორმალურადაა საქმე. ასე რომ, კარგი ბრძოლები უნდა ვიხილოთ.

— მაინც რომელ წონებში ელით გამორჩეულ ბრძოლებს? ალბათ, მძიმეში, სადაც ლექსო მოდებაძე და ლუკა კურტანიძე არიან კონკურენტები...

— ვერ ვიტყვი, რომ მძიმე წონის კონკურენცია სხვა წონებისგან გამორჩეულია. ნაკრებში ადგილი განაღდებული არავის აქვს. ასე რომ, ყველა ძირითად მოჭიდავეს კონკურენტებთან მძიმე შეხვედრები ელის.

— ადრე თქვით, თბილისის ტურნირის შედეგებს მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობის გამოსავლენადაც გამოვიყენებთო...

— მართლაც ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი. არ გამოვრიცხავ, მსოფლიოს საგზური ახლავე გაინაღდოს ვინმემ. მთავარია, დაამტკიცოს, რომ თავის წონაში საუკეთესოა.

ბეგი დარჩია:

— თავიდან ჩვენც 42 კაცის დაყენებას ვაპირებდით. ისინი შიდა კონკურენციის სიძლიერის მიხედვით, შვიდ წონაში არათანაბრად უნდა გადანაწილებულიყვნენ. ამ რაოდენობაში ახალგაზრდა მოჭიდავეები არ იყვნენ გათვალისწინებულნი.

— რატომ?

— ზაფხულში გადატვირთული კალენდარი აქვთ. ევროპის ჩემპიონატი მოიარეს და აგვისტოში მსოფლიო ელით. თუმცა ამ დღეებში მაინც გადავწყვიტეთ, კარტოზიაზეც იჭიდაონ. უფროს და გამოცდილ კონკურენტებთან დაპირისპირება მათთვისაც მომგებიანი უნდა იყოს და საერთო საქმისთვისაც.

— ძირითადი ნაკრების წევრები დასვენებას ხომ არ აპირებენ?

— ტრავმირებულების გარდა ხალიჩაზე ყველა გავა.

— ტრავმირებულნი ვინ არიან?

— სამწუხაროდ, უკვე გამოირიცხა რევაზ ლაშხის ჭიდაობა. ტვინის შერყევის ნიშნები აქვს და მთავარი საფიქრალი ისაა, აგვისტომდე მომჯობინდეს, ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატიც რომ არ გაუცდეს. ტრავმა აწუხებს რეზო ჭელიძესაც, მაგრამ მისი ჭიდაობის იმედი ჯერ კიდევ გვაქვს. სხვა მხრივ ყველაფერი რიგზეა. რამდენიმე ძლიერმა მოჭიდავემ ტრავმა მოირჩინა. ხანგრძლივი შესვენების მერე ხალიჩას უბრუნდებიან ბადრი ხასაია, რამაზ ნოზაძე და ლაშა ლომაძე.

— თბილისის ტურნირის ჩემპიონები მსოფლიოს ჩემპიონატზე დასაყენებელ გუნდში აღგილს გაინაღდებენ?

— მნიშვნელოვანწილად ასე იქნება, მაგრამ წინასწარ ამის გარანტიას ვერავის მივცემთ. შემოდგომამდე ერთ საერთაშორისო ტურნირზეც ვგეგმავთ კანდიდატების გამოცდას. 18-20 აგვისტოს რუმინეთში გავემგზავრებით, თუმცა შესაძლოა, იმ დროისთვის რამდენიმე წონაში უკვე ყველაფერი გარკვეული იყო.

ოთარ ბაღლაკელიძე

თბილისში ვითამაშოთ და...

გუშინ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გაიმართა შეხვედრა ვაუ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრებთან, რომლებმაც გასულ კვირას პოლონეთში დასრულებულ სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი მამუკა სხიერელი, ვიცე-პრეზიდენტი ჯემალ ცერცვაძე.

ყოველ გამოსვლაში აღინიშნა ჩვენი ბიჭების ამ მართლაც უნიკალური, მოულოდნელი მიღწევის მნიშვნელობა, მით უმეტეს, დღევანდელ გაჭირვებულ სახელბურთო ყოფაში.

დავით ნამგალაურმა გუნდის ყველა წევრს გულითადად მიულოცა ეს დიდი წარმატება და ხელშეწყობა აღუთქვა 2007 წლის იანვარში ეროვნული ნაკრების ევროჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობისთვის.

უმთავრესი, ცხადია, ფინანსური თანადგომაა, რათა წინა წლების მსგავსად, საქართველოს ნაკრებმა სამივე საშინაო მატჩი უფულობის მიზეზით სტუმრად არ ჩაატაროს. რის გამოც, ბუნებრივია, ხეირიანი შედეგის შანსი გადაწურული გვქონდა.

უმთავრესი დამაიმედებელი კი ისაა, რომ საქართველოს მართლაც ძლიერ ნაკრებს, თუკი მეტოქეებს თბილისში დაუხვდება, ძალა შესწევს, წარმატებით დაძლიოს შესარჩევი ბარიერი და პირველად ითამაშოს კონტინენტის ფინალურ ტურნირში.

გია ახალაძე

უკვე შვიდი და მეოთხედფინალი

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

ავსტრიული კრამშბახის გრუნტზე **ITF**-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირზე მე-5 ნომრად განთესილმა ლადო ჩიხლაძემ უკვე ორი მეტოქე დაამარცხა და მეოთხედფინალს უწია.

პირველ წრეში ქართველი ჩოგბურთელის მეტოქე მასპინძელი ფილიპ ოსვალდი იყო და ლადომ ავსტრიელს ორ სეტში, თუმც კი საკმაოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოუგო — 7:6 7:5. არც მეორე შეხვედრა გამოდგა იოლი. 18 წლის გერმანელმა მარკ მიუგელმა პირველი სეტში 6:4 იძალა, მაგრამ მერე ჩიხლაძემ ასევე 6:4 მოიგო და მესამე სეტში კი ქართველის უპირატესობა, უკვე აშკარა იყო — 4:6 6:4 6:1 ლადოს სასარგებლოდ.

მეოთხედფინალში ჩიხლაძის მეტოქე გამოცდილი, 31 წლის ავსტრიელი ტომას შესლინგი იქნება, რომელიც ოდესღაც, 2000 წელს, **ATP**-ის რეიტინგში 328-ე ადგილზე ყოფილა და რომელმაც საწყის ეტაპებზე თანამემამულეებს პატრიკ გამუფსა და მე-4 ნომრად განთესილ არმინ სანდბიხლერს საკმაოდ იოლად ავჯობა.

თუ ამ ავსტრიულ-გერმანულ გარემოცვას თავს დააღწევს და ნახევარფინალში გავა, იქ ქართველს, უკვე ჩეხი მეტოქე ეყოლება — ან მე-8 ნომრად განთესილი დუშან ლოჟდა და ანაც ტეოდორ დევეტი.

ისე კი, თუ ორი კვირის უკან ლადოს მიერ რუმინეთში მოგებულ ტურნირს გავიხსენებთ, გამოდის, რომ ქართველი ჩოგბურთელის წარმატებული სერია ზედიზედ შვიდ გამარჯვებას ითვლის და იმედია, ჩიხლაძე ამაზე არ გაჩერდება და კვლავაც გააგრძელებს **ATP**-ის რეიტინგის კიბეზე აღმასვლას.

ამსობაში, ავსტრიის მეზობლად, გერმანულ ესენში იუნიორთა წარმომადგენლობითი ტურნირი მიმდინარეობს და წარმატებით თამაშობენ ჩვენი ჩოგბურთელები ლაზარე კუხალაშვილი და ოქსანა კალაშნიკოვა.

15 წლის ლაზარემ, რომელიც ჭაბუკთა კლასიფიკაციაში 89-ე ადგილზე იმყოფება, პირველ წრეში 6:3 6:0 გაანადგურა ფრანგი ნასიმ სლილამი და მეორე წრეში მასპინძელ იან ფრედერიკ ბრუნკენს შეხვდება. ასევე 15 წლის ოქსანამ კი, ვისაც გოგონათა რეიტინგში 103-ე პოზიცია უკავია, პირველ წრეში 6:2 7:5 სძლია გერმანელ მაქსი ემერს. ჩვენი ჩოგბურთელის მეორე მეტოქე მე-12 ნომრად განთესილი სლოვაკი მონიკა სირილოვა იქნება.

გია მუჯირი

AFP

კიმ კლაისტერსის ბელგია უუილიამსო, მაგრამ მაინც შავ ამერიკას შეჭმას უპირებს

უშავდებო ამერიკას კიმიც უნდა ეყოს

პარასკევს დაიწყება და კვირის ბოლომდე გასტანს ფედერაციის თასის ნახევარფინალები. როგორც მოგეხსენებათ, ეს დევისის თასის ქალთა ანალოგია და ერთმანეთს ბელგია — აშშ და ესპანეთი — იტალია დაეტაკებიან — წესით და რიგით, ორივე დიდი ჯახი უნდა გამოვიდეს.

ბელგია — აშშ-თი დავიწყოთ. ამ ნახევარფინალისგან ყველა ევროპელთა იოლ გამარჯვებას ელოდა — ჟუსტინ ენენ-არდენისა და კიმ კლაისტერსისგან დაკომპლექტებული ნაკრები ყველასთან ფავორიტი იქნებოდა, მით უმეტეს, ძალიან შესუსტებულ ამერიკელებთან, რომელთაც ვერც ლინდსი დევენპორტი დაეხმარებათ და ვერც შავდა უილიამსები. ლინდსის და სერენას ტრავმები აწუხებთ და სანაკრებოდ ნამდვილად არ სცხელათ, ვინუსი კი ახლადგამოჯანმრთელებულია და თავს უფრთხილდება.

სწორედ ამის გამო, იანკთა კაპიტან ზინა გარისონს ნაკრებში რეიტინგის საუკეთესო 50-ში მყოფი ჩოგბურთელიც კი არ ჰყავს. ამერიკელები ერთეულთა შეხვედრებში 67-ე ნომერ ჯამეა ჯექსონსა და მე-60 ჯილ კრეიბასს დაეყრდნობიან. ამათგან ყველაზე ღირსშესანიშნავი რაც გვინახავს, ის იყო, რომ ჯექსონმა ბირმინგემის ტურნირის ნახევარფინალში მოუგო მარია შარაპოვას.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში საკუთარ კედლებში მოთამაშე ბელგიელები უპირობო ფავორიტების რანგში იყვნენ. თუმც სიტუაცია ორიოდე დღის წინ შედარებით გათანაბრდა, როცა ენენმა გადაღლილობის მოტივით უარი თქვა ნაკრებში თამაშზე.

ეს ამერიკელის გარკვეულ შანსებს აძლევს. ენენის შემცვლელ ლესლი ბუტკევიჩის შესახებ აქამდე სპეციალისტთა ვიწრო წრის გარდა არავის გაუგონია და ამიტომ საეჭვოა, მან ჟუსტინი კორტზეც შეცვალოს. სავარაუდოდ, თამაში კრისტენ ფლიპკენსს მოუწევს. ამ ახალგაზრდა ბელგიელის ნიჭი კი არ აკლია, მაგრამ დიდ ჩოგბურთში თამაშის მწირი გამოცდილება აქვს. ისიც საკითხავია, რამდენად გაუძლებს ნაკრებში თამაშის ტვირთს.

ასეა თუ ისე, ბელგიელები მაინც ფავორიტები იქნებიან. ჯერ ერთი, ისინი სახლში, ოსტენდეში ითამაშებენ. მეორეც, ევროპელები, ალბათ, თიხნარზე თამაშს არჩევენ, რაც ამერიკელებს დამატებით პრობლემებს შეუქმნის. დაბოლოს, ბენელუქსელებს კიმ კლაისტერსი მაინც ჰყავთ, რომელსაც მარტოს შეუძლია ამ დაპირისპირების ბედის გადაწყვეტა.

აი, ესპანეთი — იტალია კი გაცილებით თანაბარი უნდა გამოვიდეს, თუმც სპეციალისტები უპირატესობას აპენინელებს უფრო ანიჭებენ — მათ ხომ მეოთხედფინალში ნამდვილი სენსაცია გამოაცხვეს და ამელი მორესმოს საფრანგეთს პარიზში მოუგეს 4:1. თანაც იტალიელებს ორი გამოკვეთილი ლიდერი — ფრანჩესკა სკლავონე და ფლავია პენეტა ჯანზე ჰყავთ. არც მათი მესამე ნომერი მარა სანტანჯელო უჩივის ჯანმრთელობას და საჭიროების შემთხვევაში მასაც შეუძლია ნაკრების ლიდერების ტოლფასოვნად შეცვლა.

ესპანელებს კი პირიქით, თანაბარი, მაგრამ ულიდერო ნაკრები ჰყავთ. ესპანელთა კაპიტან მიგელ მარგეტს დიდი საფიქრალი გასჩენია — ანაბელ მედინა-გარიგესი, ლურდეს დომინგეს-ლინო, მარია სანჩეს-ლორენცო და ვირჯინია რუანო პასკუალი თითქმის ერთი დონის ჩოგბურთელები არიან და მათგან ვინმეს გამორჩევა გაძნელდება.

მარგეტი გადაწყვეტილებას, ალბათ, მატჩის დღეს მიიღებს და კორტზე იმათ გაუშვებს, ვისაც ვარჯიშებზე გამოარჩევს. თუმც მანამდე დონ მიგელი საბრძოლოდაა განწყობილი და მშობლიური კედლების ეიმედება:

„ჩვენ სახლში ვითამაშებთ, რაც მოტივაციასა და განწყობას გვიორმაგებს, თანაც თიხნარზე — აქ კი არავისი გვეშინია. ფინალში გასვლის რეალური შანსი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ კიდეც“.

კახა ლომაშვილი

წვიმას რაღა უნდოდა?

კაცები
ნიუპორტი. აშშ. ბალახი
საპრიზო 355 000 $

მეორე წრე

მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — **რიკ დე ვოესტი** (სამხრეთ აფრიკა) 6:3 6:4; **იურგენ მელცერი** (6, ავსტრია) — **ფრანკ დანსევიჩი** (კანადა) 6:4 3:6 6:4; **რობერტ კენდრიკი** (აშშ) — **იგორ კუნიცინი** (რუსეთი) 6:4 6:2

კაცები
გშტაადი. შვეიცარია
თიხნარი
საპრიზო 421 250 €

პირველი წრე

ფერნანდო ვერდასკო (3, ესპანეთი) — **დანიელე ბრააჩიალი** (იტალია) 6:3 6:1; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) 3:6 7:6 6:1



ფერნანდო ვერდასკო

კაცები
ბასტადი. შვედეთი. თიხნარი
საპრიზო 323 250 €

მეორე წრე

ნიკოლაი დავიდენკო 1, (რუსეთი) — **იური შუკინი** (რუსეთი) 6:0 3:6 6:1; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) 6:4 6:2; **ხუან-კარლოს ფერერო** (8, ესპანეთი) — **ოლივიე მარახი** (ავსტრია) 6:2 6:3; **იარკო ნიემინენი** (4, ფინეთი) — **ლუკაშ დლუჰი** (ჩეხეთი) 6:7 6:0 6:3; **ალექსანდერ ვასკე** (გერმანია) — **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) 6:4 4:6 6:3

წვიმა უიმბლდონზეა ტრადიციული მოვლენა და იქ ამის გამო თამაშების გადადებას ყველა მიჩვეულია, მაგრამ ნალექებმა ევროპაში და ნიუპორტში მიმდინარე ტურნირებზეც მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა და სათამაშო დღეც გაანახევრა.

ისევ და ისევ ნიუპორტული მოვლენებით დავიწყოთ, სადაც ძალიან ნორმალურად გამოიყურება მარკ ფილიპუსისი. უიმბლდონისა და აშშ-ს ღია პირველობის ფინალისტი როდ-აილენდზე კარგად ჩოგნაობს და აგერ უკვე მეორე თამაშია, საკუთარ მოწოდებას არ აგებს. ოზმა კვლავ აამუშავა თავისი ცნობილი ყუმბარმტყორცნი და დიდწილად მისი დახმარებით მიაღწია წლეულს პირველ მეოთხედფინალს.

აღარ ხუმრობს რობერტ კენდრიკიც, რომელიც წლეულს ბალახზე ძალიან კარგად თამაშობს. ნიუპორტში ორი წრე ამერიკელმა უპრობლემოდ გაიარა. წესით, ახალგასრულებულ უიმბლდონზეც მეტის გავლა ეკუთვნოდა და ამასთან ახლოსაც იყო, როცა რაფაელ ნადალს ორი სეტი მოუგო, მაგრამ იქ ესპანელის საოცარმა ბრძოლისუნარიანობამ თავისი გაიტანა და კენდრიკს მთელი ნაწვალები წყალში ჩაეყარა. თუმც ნიუპორტში ნადალისნაირი უტეხი სულის მქონე ჯერ ვერავინ მოიძებნა და კენდრიკიც წინ მიიწევს.

მარკ ფილიპუსისი

ნამეტანი გაუჭირდა ნაკლებად ცნობილი თანამემამულის დამარცხება ნიკოლაი დავიდენკოს. მას და იური შუკინს რეიტინგში 138 ადგილი აშორებთ, მაგრამ დავიდენკოს საათისა და 44 წუთის გატარება კი მოუწია კორტზე მეოთხედფინალში გასასვლელად.

რუსს აქ ნიკოლას მასუსთან მოუწევს ჭიდილი. ათენის ოლიმპიადის ოქროსმედალოსანს უკანასკნელი ორი წელია, ღირებული არაფერი გაუკეთებია და ახლა ამის გამოსწორებას ცდილობს. ჩილელმა ნავსი გატეხა და ორწლიანი შესვენების შემდეგ დაამარაცხა ხოსე აკასუსო, რომელსაც დიდ ხანს არ შეარჩინეს გილერმო კორიას ძლევით გამოწვეული სიხარული.

ვინაიდან ნალექები არც შვედურ ბასტადს მოკლებია, სათამაშო დღე აქაც არასრული გამოვიდა. თუმც გაწვიმებამდე მეოთხედფინალში გასვლა მოასწრეს იარკო ნიემინენმა და ხუან-კარლოს ფერერომ.

აი, უიმბლდონის სენსაციური ნახევარფინალისტი იონას ბიორკმანი კი თავისთვის უფრო ტრადიციულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ტურნირი ადრეულ ეტაპზეე დატოვა. გამოცდილი შვედი კარგა ხანია, რაც ერთეულთა თანრიგში წარმატებებით ვერ დაიკვეხნის და მაქს მირნისთან წყვილში კარგი თამაშით უფრო ახსენებს ხოლმე თავს საჩოგბურთო საზოგადოებას. ასე რომ, ლონდონური მიღწევა შეიძლება დიდხანს აღარ განმეორდეს.

გშტაადში კი ჯერჯერობით 22 წლის ფერნანდო ვერდასკოა გამოსაყოფი, რომელმაც ორი წრე ძალიან ირლად დაძლია. ისე, ესპანელს არც შემდეგი მეტოქის ძლევა უნდა გაუჭირდეს მაინდამაინც — ფილიპ კოლშრაიბერი ელიტას არასოდეს განეკუთვნებოდა, თამაში კი გრუნტზე იქნება, რაც პირინელის წისქვილზე ასხამს წყალს.

კახა ლომაშვილი



მარტინ ჰავლატი ოტავიდან ჩიკაგოში გადაბარგდა

სენატორებმა მეამბოხენი მოიშორეს

ᲰᲝᲙᲔᲘᲘᲡ ნაციონალ ლიგაში სატრანსფერო ციებ-ცხელება გრძელდება და ოკეანისგაღმეთიდან ყოველდღე მოდის ახალი ამბები.

ძალიან „ცხელი" ზაფხული ჰქონდა გასული სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის გენერალურ მენეჯერ ჯონ მუკლერს. პლეი ოფიდან ადრე გამოვარდნამ ოტავაში სერიოზული ძვრები გამოიწვია. როგორც ვიუწყებოდით, „სენატორებმა" ვერ მოახერხეს გუნდის წამყვან მცველ ზდენო ხარას შენარჩუნება. ასევე აიბარგა ბრაიან პოტიეც, თუმცა კანადელებმა შეძლეს და შეინარჩუნეს მეორე ელიტარული უკანახაზელი უეიდ რედენი. გარდა ამისა, გუნდი ვერ შეუთანხმდა ხელფასზე ანტუან ვერმეტს, მაიკ ფიშერს და პეტერ შეფერს. ამათ საქმეს საარბიტრაჟო სასამართლო განიხილავს.

მუკლერმა სიტუაცია ოდნავ გამოასწორა გაცვლით, რომელშიც სამი გუნდი და ხუთი ჰოკეისტი მონაწილეობდა. „ოტავამ" თავისი კიდევ ერთი „მეამბოხე" ფორვარდი, მარტინ ჰავლატი და ბრაიან სმოლინსკი დაუთმო „ჩიკაგოს", რომელმაც თავის მხრივ ფორვარდი მარკ ბელი „სან ხოსეს" გადაულოცა, კალიფორნიელებმა კი კანადის დედაქალაქში მცველი ტომ პრეისინგი და ცენტრი ჯოშ ჰენესი გაუშვეს.

ამ გაცვლებით სამივე კლუბმა იხეირა — „ოტავამ" დაცვის პრობლემა ოდნავ გამოასწორა, ლიგის ყველაზე საცოდავი შეტევის მქონე „ჩიკაგომ" ძალიან მაღალი კლასის ფორვარდი — 298 ნჰლ-ურ მატჩში 105 გოლის გამტანი მარტინ ჰავლატი მიიღო, „სან ხოსე" კი მარკ ბელის დამატების შემდეგ მხოლოდ ერთი სამეულის (ჯო ტორნტონი-პატრიკ მარლო-ჯონატან ჩიჩუ) იმედზე აღარ იქნება.

გააქტიურდა აქამდე ჩუმად მყოფი „მონრეალიც". „კანადიენსის" გენერალურმა მენეჯერმა ბობ გეინიმ გუშინ ერთბაშად რამდენიმე გაცვლა განახორციელა - „ვაშინგტონში" გაუშვა სლოვაკი ფორვარდი რიხარდ ზედნიკი და მის ადგილზე ლიგის ერთ-ერთ უსწრაფესი მოთამაშე სერგეი სამსონოვი აიყვანა თავისუფალი აგენტების ბაზრიდან. გარდა ამისა, „მონრეალმა" „ფინიქსიდან" ფლანგი მაიკ ჯონსონი წაიყვანა, სამაგიეროდ კი მომავალი წლის დრაფტის მეოთხე წრის არჩევანი დათმო.

გეინიმ ასევე გუნდში დატოვა შვეიცარიელი მეკარე დევიდ ეიბიშერი.

დაბოლოს, დერილ სატერმა კალგარის მწვრთნელის პოსტი დატოვა და ახლა მხოლოდ გენერალური მენეჯერის მოვალეობას შეასრულებს. სატერი საოფისე მუშაობაზე გადაერთვება, მისი თანაშემწე ჯიმ პლეიფეირი კი ჰოკეისტებს დამოძღვრავს.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲕᲘᲚᲘ

სერგეი სამსონოვი მონრეალში ითამაშებს

93-Ე ᲤᲣᲠ ᲓᲔ ᲤᲠᲐᲜᲡᲘ 2006, 1-23 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

დენის მენშოვი მთებში დიდია



ფლოიდ ლენდისმა ყვითელი მაისურა მოიგო

AFP

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ტურმალე (2115 მ. ზღვის დონიდან), დესპინი (1489), დე პეირესორდე (1569), პორტილონი (1293) და პუერტო დე ბერეტი (1860) — აი, ის ხუთი მწვერვალი, ნახსენები თანმიმდევრობით რომ დალაშქრეს რიგით 93-ე „ტურ დე ფრანსის" მონაწილეებმა გუშინდელ, მე-11 ეტაპზე.

ამ ურთულეს, 206,5 კილომეტრიან გზას ბევრმა ვერ გაუძლო და საბოლოოდ ჩაიქნია ხელი რაიმე მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევაზე; ზოგიერთი პირიქით, სწორედ ამ აღმართ-დაღმართებში აღსდგა მკვდრეთით და, თითქმის დაკარგული იმედი დაიბრუნა; მთლიანობაში კი მივიღეთ ის, რაც უნდა მიგვეღო — გამოიკვეთა იმ მრბოლთა ვინაობა, რომლებიც ორიოდე დღის შემდეგ, უკვე ალპებში გააგრძელებენ ესოდენ სანატრელი ყვითელი მაისურასთვის ბრძოლას.

პელეტონი, უკვე ეტაპის უმაღლეს პიკზე, ტურმალეს მთაზე დაიქსაქსა, თუმც გადამწყვეტი ამბები, მაინც ბოლო, პუერტო დე ბერეტის აღმართში მოხდა. ესპანეთის ტერიტორიაზე მდებარე მთის მისადგომებთან წინ ასე, ათკაციანი ჯგუფი გაიჭრა, რომელშიც იყვნენ ამერიკელები ფლოიდ ლენდისი და ლევი ლეიფეიმერი, რუსი დენის მენშოვი, ავსტრალიელი კედელ ევანსი, ესპანელები კარლოს სასტრე და აიმარ სუბალდია, გერმანელები ანდრეას კლოდენი და ფრანკ შლეკი, ჰოლანდიელი მიხაელ ბოოგარდი და ფრანგი კრისტოფ მორო. რბოლის ლიდერი, მოროს თანამემამულე და თანაგუნდელი სირილ დესელი მომდევნო ჯგუფში იყო და იმედოვნებდა — იმდენს მაინც არ წავაგებ, ყვითელი მაისურა რომ ვერ შევინარჩუნოო.

მოწინავეთა შორის პირველი მორო ჩამორჩა და ფრანგული იმედი, რომ 21-წლიანი შესვენების შემდეგ მასპინძელმა კვლავ მოიგოს მშობლიური ტური, მნიშვნელოვნად შემცირდა. შემდეგ სუბალდიამ და შლეკმა დააგდეს ტემპი და წინ შვიდნი დარჩნენ, მაგრამ ცოტა ხანში ვეღარც T-მობაილში იან ულრიხის შემცვლელად მიჩნეულმა კლოდენმა გაუძლო ჯოჯოხეთურ გზას და ვეღარც ბოგარდმა. უკვე ბოლოსკენ ხუთეული სამეულამდე შემცირდა — მენშოვმა, ლენდისმა და ლეიფეიმერმა სასტრე და ევანსიც უკან მოიტოვეს და ბოლო ორ კილომეტრზე ერთმანეთში დაიწყეს იმის გარკვევა, თუ ვის დარჩებოდა ეს ურთულესი ეტაპი.

ორ ამერიკელს ერთმა რუსმა აჯობა — რობერტო ერასის დისკვალიფიკაციის შემდეგ შარშანდელი „ვუელტას" გამარჯვებულად გამოცხადებულმა მენშოვმა, რომელმაც ამ ერთი თვის უკან „დოფინი ლიბერეზე" ლეგენდარული ვანტუს მთის ეტაპი მოიგო, ისევე, როგორც ვანტუზე, ამჯერადაც, თუმც კი მცირედით, მაგრამ მაინც აჯობა ლენდისსა და ლეიფეიმერს და კარიერაში პირველად მოიგო „ტურის" ეტაპი.

უკმაყოფილონი არც ამერიკელები დარჩენილან — ლეიფეიმერი, რომელმაც ინდივიდუალურ რბოლაში კატასტროფა განიცადა და ერთ საათში დაკარგა ფავორიტის სტატუსი, მართლაც რომ მკვდრეთით აღსდგა და მართალია, ლიდერთან ჯერაც ბევრს, 5 წუთსა და 39 წამს აგებს, მეცამეტეა საერთო ჩათვლაში და ალპური ეტაპების იმედზეა. აი, ლენდისი კი, უკვე ყვითელ მაისურაშია და სწორედ ის გახლავთ ლიდერი — ამერიკელმა დესელს ზუსტად იმდენი, ანუ 4 წუთი და 45 წამი მოუგო, რამდენსაც აგებდა, მაგრამ, როგორც ეტაპის მესამე პრიზიორმა, 8 საბონიფიკაციო წამი ჩამოიკლო და ფრანგს პირველობა ჩამოართვა.

მენშოვი მესამეა და ლენდისიან წუთსა და ერთ წამს აგებს. იქვე შორიახლოს, ჯერ კიდევ საიმედო და საეგებო მანძილზე არიან ევანსი, სასტრე, კლოდენი და მორო, თუმც კი გავრისკავთ და ვიტყვით, რომ მთავარი ბრძოლა ლენდისსა და მენშოვს შორის გახურდება და ალპების უელტეხილებზე ამ ორიდან ვინც უკეთ გაირჯება, გამარჯვებაც მას დარჩება.

ᲒᲘᲐ ᲛᲣᲯᲘᲠᲘ

მე-11 ეტაპი, ტარბი — ვალ დერანი. 206,5 კმ

1. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი)	6სთ.6წმ.25წმ
2. ლევი ლეიფეიმერი (აშშ, გეროლშტაინერი)	
3. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი)	,ორივეს იგივე დრო
4. კედელ ევანსი (ავსტრალია, სონი დიუვალი)	+17წმ
5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+17წმ

საერთო ჩათვლა

1. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი)	49სთ.18წთ.7წმ
2. სირილ დესელი (საფრანგეთი, AG2R)	+8წმ
3. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი)	+16თ.1წმ
4. კედელ ევანსი (ავსტრალია, სონი დიუვალი)	+16თ.17წმ
5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+16თ.52წმ

სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (აღმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

ᲘᲡᲞᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ

ჰოლივუდში, ისპი-ს დაჯილდოებათა ცერემონიალი გაიმართა. ეს ტრადიციული ამბავია, რომელშიც სპორტი და ტელევიზია ერთმანეთშია არეული და ხალისობაც ბევრია. საგანგებო შოუ დღეა და ვინუს უილიამსიც საგანგებოდ გამოწყობილა. კომიკოსი ბენ სტილერი კი სათამაშო სკამს ატენის ველოლეგენდა ლენს არმსტრონგს, რომელსაც მკლავჭიდის სალაღობო ტურნირში უმარჯვნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ᲥᲐᲚᲗᲐ ᲘᲡᲢ-ᲕᲔᲡᲢᲘ

„მედისონ სკვერ გარდენში„ ქალთა ნბა-ს ოლსტარი გაიმართა და ყველაფერი ისე იყო, როგორც ამ შოუს ეკადრება: პატარა გოგოები ხარობდნენ, ლიზა ლესლი ავტოგრაფებს არიგებდა, კეტი დუგლასი ქმარს კოცნიდა, საუკეთესო მოთამაშის პრიზის მიღებით გახარებული... თვითონ თამაში კი სასეიროც იყო და საბრძოლოც.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეული

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge